# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 4 მარტი 2008 №048 (3272) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩაიცვით ის. რაც გეკუთვნით!

პროფლიგა გრიშიკაშვილს და თევდორაძეს დაემუქრა

3



## იაშვილს გოლი არ შეარჩინეს

სამაგიეროდ... საუკეთესო და სიმბოლური

4

# თანამედროვე ფეხბურთის არსენალი

## მილანი VS არსენალი

### დღეს ჩემპიონთა ლიგის ოთხი მეოთხედფინალისტი გამოვლინდება



# ფორმულა 53

## ვლადიმერ კაკაშვილმა ჩემპიონატების ისტორიაში 53 მეტრი დაიკანონა

მოედნის სიგრძე-სიგანე, დიაგონალი, ნაბიჯი ცენტრის ხაზს იქით, გეომეტრიული ფორმულა და... ჩვენი გამოთვლით, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-15 ტურში ამერელმა ვლადიმერ კაკაშვილმა „დილას" კარში 53 მეტრიდან გაიტანა!

დაახლოებით იგივე მანძილიდან, მოედნის ცენტრიდან გაუტანა 1995 წლის 31 ოქტომბერს „სამტრედიას" თავდამხსმელმა დავით ჯანაშიამ სტუმრად თელავის „კახეთს".

ეს ის მანძილია, საფეხბურთო ქვეყნებში მიმომხილველები კარგა ხანს რომ ილაპარაკებენ და გოლს ტელევიზიები არაერთხელ დაატრიალებენ. ჰოდა, თუ საფეხბურთო ქვეყნად ვითვლებით, ამგვარი გოლების გამორჩევა ჩვენც გვმართებს. მერე კი უფრო თამამად ვეტყვით გულშემატკივარს — იარეთ სტადიონზე!



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე კლუბების უმეტესობა რომ ფინანსურად ვერ არის წელგამართული, ყველამ ვიცით, თუმცა გუნდს ფორმის სრული კომპლექტის შეძენა არ შეეძლოს, ნამდვილად გასაკვირია. „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილი და, შესაძლოა, მოყირჭებულიც კია, რომ პირველი წრის შემდეგ თბილისის „მერანის“ მეკარე რევაზ თევდორაძეს საჩემპიონატო თამაშებზე ეროვნული ნაკრების მაისურა აცვია. მოგეხსენებათ, თევდორაძე ახალგაზრდული ნაკრების კარსაც იცავს და ეს მაისურა იქიდან მოეპოვება. ჩვენდა გასაკვირად, ამას რატომლაც აქამდე ყურადღებას არავინ აქცევდა. განახლდა მეორე წრე და თევდორაძეს „ბორჯომის“ მეკარემ სოსო გრიშიკაშვილმა მიჰბაძა — სხვა გუნდში თამაშობს, მაგრამ თბილისის „დინამოს“ მაისურას არა და არ იშორებს...



სოსო გრიშიკაშვილი



რევაზ თევდორაძე

# ჩაიცვით ის, რაც გეკუთვნით!

## პროფლიგა გრიშიკაშვილს და თევდორაძეს დაემუქრა

*გუშინ ამ კლუბების წარმომადგენლებს შევეხმიანეთ და ერთი კითხვით მივმართეთ — აქვს თუ არა კლუბს იმის საშუალება, რომ მეკარეს ფორმა შეუძინოს?*

***ვახტანგ მაისურაძე, „ბორჯომის“ დირექტორი:***

— მეკარის ფორმა ნამდვილად გაგვაჩნია.

— მაშ რატომ აცვია სოსო გრიშიკაშვილს „დინამოს“ მაისურა?

— აცვია, მაგრამ „დინამოს“ ლოგო ხომ აქვს დამალული?!

— წინა ტურში თბილისის „მერანთან“ მატჩის დირექტორმა პირველი ნახევრის შემდეგ უთხრა, ლეიკოპლასტირით მაინც დამალეო და, ალბათ ამიტომ. საინტერესოა, თქვენი კლუბისთვის არ აქვს მნიშვნელობა, რა მაისურა აცვია მეკარეს?

— გრიშიკაშვილმა გვითხრა, რომ ტანზე კარგად მაქვს მორგებული და ეს მაისურა მეცმევაო. გეთანხმებით, რომ არ არის ლამაზი და გპირდებით, მომავალ ტურში გრიშიკაშვილს „ბორჯომის“ ფორმა ეცმევა.

***დავით ეჯიბიშვილი, „მერანის“ მთავარი მწვრთნელი:***

— მართალი ხართ. კლუბს თუ ფორმის ყიდვის საშუალება არ აქვს, უმაღლეს ლიგაში რა უნდა?!

— კი მაგრამ, მაშინ რატომ აცვია მთელი სეზონის განმავლობაში თქვენს მეკარე რევაზ თევდორაძეს ეროვნული ნაკრების მაისურა?

— სიმართლე გითხრათ, აქამდე მართლაც არ გვქონდა ფიზიკურად და ამიტომ ეცვა სხვა მაისურა.

*ამის შემდეგ პროფლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჯალიანსაც შევეხმიანეთ, რომელმაც გვითხრა, დღეს ორივე კლუბში გავაგზანით გამაფრთხილებელ წერილებს და მატჩების დამკვირვებლებსაც ვეტყვით, რომ ანალოგიური ფაქტის განმეორების შემთხვევაში ფეხბურთელებს თამაშის უფლება აღარ მისცენო.*

**ნუკრი ლოლაძე**

# ტოპ-350 და ოდენ დინამო

**ფეხბურთის** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბის ახალი, ყოველთვიური რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ თბილისის „დინამო“ მოხვდა — დუშან უჰრინის გუნდი 66 ქულით 303-ე ადგილზეა.

აქვე ვთქვათ მსოფლიოს საუკეთესო კლუბთა ათეულზეც — iffhs-ის გამოთვლებით, შარშანდელი მარტიდან წლევანდელი თებერვლის ჩათვლით მსოფლიოს საუკეთესო კლუბი ლონდონის „ჩელსია“, რომელიც წინა თვეში მესამე ადგილზე იყო.

**ბახა შალამბერიძე**

1 (3) ---ჩელსი (ინგლისი)--- 279
2 (4) ---მილანი (იტალია)--- 278
3 (1) ---სევილია (ესპანეთი)--- 276
4 (2) ---მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)--- 274
5 (5)---ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)--- 252
6 (7)---რომა (იტალია)--- 240
7 (9)---ბარსელონა (ესპანეთი)--- 236
8 (6)---ინტერი (იტალია)--- 229
9 (10)---ლივერპული (ინგლისი)--- 225
10 (11)---არსენალი (ინგლისი)--- 223

## საქართველოს 19 ჩემპიონატი

### პირველი ლიგა 16 ტური

**აღმოსავლეთი**

გაგრა 0:3 დინამო 2
ვიტ ჯორჯია 2 1:2 კახეთი
ნ.დინ-მერანი 2 2:2 ოლიმპი 2
ამერი 2 3:2 ოლიმპიკი
დღეს
მეშაძრე — ჩიხურა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 16 | 10 | 4 | 2 | 37:26 | 34 |
| დინამო 2 | 16 | 9 | 4 | 3 | 27:14 | 31 |
| მეშაქრე | 14 | 8 | 2 | 4 | 24:16 | 26 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 16 | 7 | 4 | 5 | 24:15 | 25 |
| ჩიხურა | 15 | 7 | 3 | 5 | 28:23 | 24 |
| ოლიმპი 2 | 16 | 6 | 4 | 6 | 20:17 | 22 |
| კახეთი | 16 | 6 | 3 | 7 | 26:26 | 21 |
| ამერი 2 | 15 | 6 | 2 | 7 | 27:28 | 20 |
| ოლიმპიკი | 16 | 3 | 3 | 10 | 21:32 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 16 | 0 | 3 | 13 | 16:48 | 3 |

**დასავლეთი**

ხობი 2:0 მარტვილი
ტორპედო 1:3 კოლხეთი
ფაზისი 0:3 სამტრედია
ზესტაფონი 2 1:3 მაღაროელი
*მეშახტე — უნივერსიტეტი*
*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 16 | 14 | 2 | 0 | 38:11 | 44 |
| მარტვილი | 16 | 8 | 3 | 5 | 21:14 | 27 |
| მეშახტე | 15 | 9 | 0 | 6 | 27:25 | 27 |
| ტორპედო | 15 | 7 | 4 | 4 | 26:19 | 25 |
| კოლხეთი | 16 | 6 | 5 | 5 | 20:19 | 23 |
| ზესტაფონი 2 | 14 | 6 | 2 | 6 | 21:15 | 20 |
| ხობი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:21 | 17 |
| უნივერსიტეტი | 15 | 4 | 3 | 8 | 11:16 | 15 |
| ფაზისი | 16 | 2 | 2 | 12 | 17:40 | 8 |
| სამტრედია | 15 | 2 | 2 | 11 | 14:35 | 8 |

### ამხანაგური მატჩები

ვიბორგი 2:3 ცსკა (მ)
ბოხუმი 1:2 შინიკი
ჰამ კამი 0:2 ტურკუ
კონგსვინგერი 1:2 ოდ გრენლანდი
სტარტი 0:1 ბოდიო გლიმტი

### ინგლისი

I ლიგა
XXXV ტური
ნოტინგემი 0:1 კარლაილი
კონფერენსლიგა
XXXVI ტური
ტორკი 1:2 ალდერშოტი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXII ტური
ფრაიბურგი 1:1 მაინცი

### საფრანგეთი

II დივიზიონი
XXI ტური
ტრუა 4:1 ლე ავრი

### პორტუგალია

სუპერლიგა
XXI ტური
ფერეირა 1:2 ბელენენსეში

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა
XXI ტური
ვინტერთური 1:2 ვილი

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
XIX ტური
სიგმა 0:0 სპარტა

# ზესტაფონმა ორი ჩხეტიანი გაუშვა და მესამე მიიღო

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ „ზესტაფონი“ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა — გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივის“ საკუთრებაა და იმერულ კლუბში იჯარით იყო; გაგა ჩხეტიანმა აუტსაიდერ „ბათუმს“ მიაშურა; გუნდის კაპიტანი კახა ჩხეტიანი კი აზერბაიჯანულ „სიმურგში“ წავიდა. რაც შეეხებათ გოგი ფიფიას და გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეს, ისევ „ზესტაფონს“ ეკუთვნიან, თუმცა კლუბის ხელმძღვანელებთან ურთიერთობა გაურთულდათ და გუნდთან ერთად არ არიან.

მეორე წრის მოსამზადებელ პერიოდში „ზესტაფონს“ თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ თავდამსხმელი ნიკა გელაშვილი შეემატა, მაგრამ თურქულ შეკრებაზე მან მძიმე ტრავმა მიიღო და უქმობს.

და აი, როგორც შევიტყვეთ, თემურ მახარაძის გუნდში გივი ჩხეტიანი ვარჯიშობს, რომელიც ბოლოს აზერბაიჯანში იყო, მანამდე კი ავსტრიის ქვედალიგელ „ჰარტბერგში“ თამაშობდა.



**ნუკრი ლოლაძე**

# ლოკომოტივმა მუჯირი ათამაშა. ასათიანი დაასვენა

**ავსტრიულ** შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა იქაურ „კაპფენბერგთან“ და 1:1 ეთამაშა.

მოსკოველები 0:1 აგებდნენ და ბოლო წუთებზეღა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება — თავი გუნდის კაპიტანმა დინიარ ბილიალეტდინოვმა გამოიჩინა.

ამ მატჩში „ლოკომოტივმა“ ერთი ქართველით ითამაშა — დავით მუჯირი მწვრთნელმა 65-ე წუთზე შეცვალა, მალხაზ ასათიანი კი არ გამოჩენილა.

შეგახსენებთ, რომ ასათიანს ლატვიასთან ამხანაგურ მატჩში მიღებული ტრავმის გამო წინა შეკრება, ფაქტობრივად, ჩაუვარდა, სრული დატვირთვით ვარჯიში კი ახლახან განაახლა და წინა მატჩშიც ითამაშა.

**ბახა შალამბერიძე**

სარბიელელები მწუხარებას გამოვთქვამთ ყოფილი ფეხბურთელის და ცნობილი ქომაგის
**ხუტა ანდღულაძის**
გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა ხუთშაბათს, 15 საათზე

სარბიელელები მწუხარებას გამოვთქვამთ გორის „დილას“ ფეხბურთელის
**გურამ ნადირაძის**
გარდაცვალების გამო

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 15 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვიტელი გიგა ბეჭვაიას მეკრატელამ „ლოკომოტივს“ ვერაფერი დააკლო

# რატომ უნდა უყურო ქართულ ფეხბურთს და... პირიქით

**შაბათს,** ოთხს რომ წუთები უკლდა, ბოლნისში ისეთი რამ მოხდა, ერთდროულად რამდენიმე გუნდს რომ წაუხდინა ხასიათი: თავად „სიონს“, „ვიტ ჯორჯიას“ და „ზესტაფონს“. ხოლო რომ გაიხარა, ასეთი გუნდი „დინამო“ იყო.

ტურისწინა ანონსში „სარბიელის“ ჟურნალისტმა დაწერა, „დინამომ“ თუ ფრე ითამაშა, „ზესტაფონმა“ და „ვიტ ჯორჯიამ“ მოიგეს, ცხრილის თავში სამხელისუფლებიანობა იქნებაო. ეს ძნელი გამოსათვლელი სულაც არ იყო და 89-ე წუთამდე საქმეც აქეთკენ მიდიოდა. იმ 89-ე წუთზე კი დინამოელმა მათე ვაწაძემ ბურთს თავი დაჰკრა და, როგორც მოგახსენეთ, ერთბაშად სამი გუნდი დაალონა.

ისიც ვთქვათ, რომ ვაწაძე თბილისელთა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ არის, იმ მატჩშიც ჟორჟ აკირემის ნაცვლად შევიდა შეცვლაზე და სეზონის ბოლოს ქულებს რომ დავითვლით, ეგებ სწორედ მისი ეს გოლი აღმოჩნდეს „დინამოსთვის“ ჩემპიონობის მომტანი.

ოღონდ ცოტა წინ გავიხედოთ და ისიც ვთქვათ, რომ „დინამოს“ ძალიან უხერხული კალენდარი აქვს — „ვიტ ჯორჯიასთანაც“ და „ზესტაფონთანაც“ სტუმრად თამაშობს და თუ გავიხსენებთ, რომ დინამოელები მცხეთასა და ზესტაფონში, ტრადიციულად, ვერ იგებენ...

თუმც თემას გადავუხვიეთ — ამ შაბათ-კვირის ტურზე ვლაპარაკობდით. ბოლნისური თამაშისას მასპინძლებს მსაჯობასთანაც ჰქონდათ პრეტენზია. ეს პრეტენზია კი, უპირველესად, სიონელთა საზიანოდ თამაშგარე მდგომარეობების დაფიქსირებას შეეხებოდა. ბოლნისელი გულშემატკივარი თავშეკავებული არც არასდროს ყოფილა და ამ ჯერზეც პოლიციელთა დასაშოშმინებელი გახდა.

იყო თამაშგარე, არ იყო თამაშგარე — ამას ალარაფერი ეშველება და თუ მსაჯებმა მართლა დაუშვეს შეცდომები, ეგებ სამსაჯო კომიტეტმა განიხილოს.

განხილვა, წესით და რიგით, გორულ ამბავსაც უნდა მოჰყვეს, ოღონდ სხვა კომისიაში — სადისციპლინოში.

გორში კი, „დილა“ — „ამერის“ თამაშისას ის მოხდა, რომ მასპინძელმა გიორგი ბალაშვილმა სტუმარი დიმიტრი ტატანაშვილი საჯარიმოში წააქცია. არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ ტატანაშვილის სიმულაციისთვის დასჯა განიზრახა, მაგრამ თანამსაჯმა კახა ტეფნაძემ, ჩვენი აზრით, ეპიზოდი სწორად განსაჯა და არბიტრიც თანაშემწეს დაეთანხმა — პენალტი დანიშნა. ამან გორელები ძალიან გააბრაზა, პრეტენზია კი რატომღაც უფრო იმაზე ჰქონდათ, თანამსაჯს ვინ ეკითხებოდა ეპიზოდის განსჯასო.

როგორც იტყვიან, უკომენტაროდ.

ამ მატჩში კიდევ ერთი რამ მოხდა გამოსარჩევი — ვლადიმერ კაკაშვილის გოლი. ამერელმა მცველმა გოლი ცენტრის ხაზიდან გაიტანა: მასპინძელთა მეკარე კარიდან გვარიანად წინ გამოსული შენიშნა და 52-53 მეტრიდან დაარტყა.

ისე, ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციაზე რომ ვლაპარაკობთ, ასეთი გოლის უყურადღებოდ დატოვება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია...

ზემოთ „ვიტ ჯორჯია“ და „ზესტაფონი“ ვახსენეთ — ჩემპიონობის სხვა ორი ფავორიტი. ვიტელებს „ლოკომოტივთან“ გაუჭირდათ და ბოლოსკენლა გაიტანეს ერთი გოლი, ხოლო „ზესტაფონი“ იოლად გაუსწორდა „მესხეთს“. ამ მატჩში ყველა დროის საუკეთესო ქართველმა მეგოლე ზურაბ იონანიძემ ჰეთ თრიქი შეასრულა. ოღონდ სადაც იონას მარჯვედ თამაშზე ვლაპარაკობთ, ეტიენ ბიტოოც უნდა ვახსენოთ. ბიტოს მონაგარი ამ მატჩში გოლი, 2 საგოლე პასი და საგოლე კომბინაციის წამოწყებაა.

„ოლიმპის“ მწვრთნელ ანატოლი პისკოვეცს კი უკვე ესაუბრა 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი. საუბრის მიზეზი: დავით დევდარიანი.

ამ ფეხბურთელმა ჩემპიონატის პირველ წრეში მიიპყრო ჩვენი ყურადღება, მეორე წრის პირველ ტურში „დინამოს“ დამარცხების შემოქმედთაგანი გახლდათ და ამ ტურშიც გამარჯვების გოლი გაუტანა „ბათუმს“.

ხოლო „ბათუმს“, რომელმაც ამ ზამთარში შემადგენლობა გააძლიერა, უმაღლეს ლიგაში დამრჩენისა ჯერ არაფერი ეტყობა — დამრჩენ ადგილამდე 8 ქულა უკლია.

ჩვენი მუდმივი თემა: რატომ აცვია „მერანის“ მეკარეს ეროვნული ნაკრების მაისურა? ამ თემაზე დღევანდელ „სარბიელში“ ცალკე მოგითხრობთ, ჩვენ კი მოგახსენებთ, რომ ამაზე წერა, პრობლემის მოგვარებამდე არ მოგვბეზრდება.

ვიღაც იტყვის, ნეტავ, მეტი პრობლემა არ ჰქონდეს ქართულ ფეხბურთსო და, მართალიც იქნება — ნეტავ, პრობლემა მხოლოდ ეს იყოს, მაგრამ, დაგვეთანხმებით, უხერხულია, კლუბის ფეხბურთელი მოედანზე არასაკლუბო ან სხვა კლუბის მაისურით რომ გადის. თუ ქართული საკლუბო ფეხბურთის წარმოჩენასა და პოპულარიზაციაზე ვლაპარაკობთ, ამგვარი „წვრილმანებიცაა“, კარგად „შეფუთვას“ რომ უშლის ხელს. ამ ტურში კი „მერანმა“ ზუგდიდის „მგლებთან“ წააგო.

ფრიად საინტერესო რამ მოხდა ბორჯომში. ოქმს ჩავხედოთ და ამოვიკითხავთ: პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მასპინძელთა კარში ორი პენალტი არ დანიშნულა, მაგრამ... „სპარტაკმა“ ორი პენალტი გააცუდა — ესეც კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რომლის დახმარებითაც ეროვნული ჩემპიონატისადმი ინტერესი შეიძლება გააღვივო. მართლა შეიძლება...

**კოტე კეკელია**

| |
|---|
| ოლიმპი 1:0 ბათუმი |
| სიონი 1:2 დინამო |
| დილა 0:2 ამერი |
| ლოკომოტივი 0:1 ვიტ ჯორჯია |
| მერანი 0:1 მგლები |
| ბორჯომი 2:1 სპარტაკი |
| ზესტაფონი 4:1 მესხეთი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 13 | 0 | 2 | 38:7 | 39 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 12 | 1 | 2 | 28:9 | 37 |
| ზესტაფონი | 15 | 12 | 1 | 2 | 31:9 | 37 |
| ოლიმპი | 15 | 9 | 3 | 3 | 16:9 | 30 |
| ბორჯომი | 15 | 8 | 4 | 3 | 19:11 | 28 |
| ამერი | 15 | 8 | 1 | 6 | 24:17 | 25 |
| მესხეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 16:21 | 20 |
| მგლები | 14 | 6 | 0 | 8 | 15:19 | 18 |
| სიონი | 15 | 5 | 3 | 7 | 19:19 | 18 |
| მერანი | 15 | 4 | 1 | 10 | 8:24 | 13 |
| სპარტაკი | 15 | 3 | 3 | 9 | 6:18 | 12 |
| ლოკომოტივი | 15 | 3 | 1 | 11 | 9:23 | 10 |
| დილა | 15 | 1 | 4 | 10 | 7:26 | 7 |
| ბათუმი | 15 | 1 | 2 | 12 | 5:29 | 5 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 10 - | მ. ხუციშვილი | *დინამო* |
| | გ. მერებაშვილი | *დინამო* |
| 8 - | გ. ნოდ. ჭელიძე | *ზესტაფონი* |

### მეთექვსმეტე ტური

7 მარტი, პარასკევი

ბათუმი – სიონი

დინამო – ბორჯომი

სპარტაკი – მერანი

ვიტ ჯორჯია – დილა

8 მარტი, შაბათი

ამერი – ოლიმპი

მესხეთი – ლოკომოტივი

მგლები – ზესტაფონი

### სიმბოლური ნაკრები

გიორგი მერებაშვილი *დინამო* — გიორგი მეგრელაძე *ბორჯომი* — მათე ვაწაძე *დინამო*

ეტიენ ბიტოო *ზესტაფონი* — ლუკა რაზმაძე *ვიტ ჯორჯია* — დავით დევდარიანი *ოლიმპი* — ზურაბ იონანიძე *ზესტაფონი*

გიომო ფრიდოლინი *სიონი* — დავით ლომაია *ვიტ ჯორჯია* — ვლადიმერ კაკაშვილი *ამერი*

ლადო ნადირაშვილი *ამერი*










ვლადიმერ კაკაშვილის სუპერგოლის ამ ფოტორეპორტაჟში გამოყენებულია ბადრი კეთილაძის ფოტოები და „ამერის“ ოპერატორ სანდრო გიუნაშვილის ვიდეოფრაგმენტები










# 21-Ე ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲝᲚᲘ 21-Ე ᲜᲝᲛᲠᲘᲡᲒᲐᲜ

## ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲙᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲘᲢᲐᲜᲘᲐ

**ფეხბურთში მიზანი მეტოქის კარში ბურთის გატანაა, თუმც არის გოლები, რომლებსაც განსაკუთრებული შეფასება ეძლევა. შესაძლოა, ფეხბურთელმა ისეთი გაიტანოს, შემდგომში საერთოდ რომ ვერ გაიხსენებს და არის გოლები, რომლებიც არა მარტო ფეხბურთელს, მაყურებელსაც არ ავიწყდება. ერთი ასეთი გოლი ჩვენი ჩემპიონატის მე-15 ტურში გავიდა. „დილა“ — „ამერის“ მატჩისას ამერელმა ვლადიმერ კაკაშვილმა მოედნის ცენტრიდან დაარტყა კარში და თავისიანები დააწინაურა. დაგვეთანხმებით, მოედნის ცენტრიდან გატანილი გოლები არცთუ ხშირია და თუ გავიდა, ლამის ყველა ქვეყანაში ტელევიზიები წამდაუწუმ ატრიალებენ ეკრანებზე. კაკაშვილის გოლი ალალად იმსახურებს ამ სიაში მოხვედრას — სიშორეს რომ თავი დავანებოთ, ამერელთა 21-ე ნომერმა თანამედროვე ფეხბურთს რომ შეეფერება, ისეთი გოლი გაიტანა. ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲙᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ამ გოლსა და მთლიანად „ამერის“ საქმეებზე ვესაუბრეთ...**

— ძალიან გახარებული ვარ. ლამაზი გოლი გამომივიდა და, რაც მთავარია, უაღრესად საჭირო. მძიმე თამაში იყო, ერთ ბურთის შეძლო, გადაეწყვიტა ყველაფერი. ამიტომ ორმაგად გახარებული ვარ, რომ გუნდის მოგებაში ჩემი წვლილი შევიტანე.

**— ზუსტად თუ გაიხსენებ ყველაფერს, ბურთის მიღებიდან კარში დარტყმამდე?**

— მეკარე რომ კარიდან გამოვიდა და ბურთი მოიგერია, ცენტრის ხაზთან მივიღე. სულიკო დავითაშვილი მეძახდა, პასი მომეციო, ამ დროს დავინახე, რომ მეკარე კარში დაბრუნებას აგვიანებდა და დარტყმა გადავწყვიტე. ბურთი კარგი ტრაექტორიით წავიდა და ზუსტად ხარიხის ქვეშ ჩაეშვა. შეიძლება, ასეთი დარტყმა ვარჯიშზე რომ შევასრულო, ათიდან ერთიც ვერ გავიტანო.

**— თქვი, მეკარე კარში დაბრუნებას აგვიანებდაო. რომ ეჩქარა, მაინც დაარტყამდი?**

— ალბათ არც თვითონ ფიქრობდა, რომ ამ მანძილიდან დავარტყამდი და არ იჩქარა, მერე კი გაიქცა, თუმცა რაღა დროს...

**— მცველი ხარ და გოლებიც იშვიათად გაგაქვს. თუ გაგიტანია ადრე ისეთი, დღემდე რომ გახსოვს?**

— ასეთი ნამდვილად არ გამიტანია. საერთოდ, ყველა გოლი დასამახსოვრებელია და კარგ მოგონებად რჩება. ფეხბურთი შეიცვალა და მცველებსაც ხშირად გააქვთ — ამ სეზონში მარტო გიორგი დავითნიძეს სამი ბურთი აქვს გატანილი. კარგია, როცა კარსაც იცავ და გაგაქვს კიდეც.

**— „ამერზეც“ ვთქვათ. ჩემპიონობის ამბიციის მქონე გუნდი მეექვსე ადგილზეა...**

— რთული სეზონია, მაგრამ იმ ადგილზე ნამდვილად არ ვართ, სადაც უნდა ვიყოთ. ასეთი მომენტები ფეხბურთში ხდება და, ვფიქრობ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება.

**— უფრო უკეთესად თასზე გამოიყურებით და შანსიც გაქვთ, ზედიზედ მესამედ მოიგოთ...**

— ეს ერთადერთი ტურნირია, რომლის მოგებაც შეგვიძლია და ყველაფერს გავიღებთ, რათა წლეულს უტიტულოდ არ დავრჩეთ, მაგრამ რომ ვთქვათ, თასზე ვითამაშებთ და ჩემპიონატს ზერელედ მოვეკიდებითო, არ იქნება მართალი. „ამერი“ ყოველი თამაშის მოსაგებად გადის მოედანზე.

**— თასის ნახევარფინალისთვის კარგი ნაბიჯიც გადადგით...**

— რა თქმა უნდა, დიდი უპირატესობაა, რომ „მაღაროელთან“ გასვლითი მატჩი მოვიგეთ, თუმც იოლი თამაში არ ყოფილა. ჭიათურელებმა დიდი ბრძოლა გაგვიჩალეს. იმის გაფიქრება, რომ პირველი ლიგის გუნდია და თანაც თამაში მოგებული გვაქვს, არ შეიძლება. საპასუხო მატჩზეც მობილიზებულნი და მოტივირებულნი უნდა გავიდეთ, თორემ დავისჯებით.

**— მეორე წრეში ორი განსხვავებული მატჩი ითამაშეთ — „ლოკომოტივთან“ (1:1) მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე ტრიბუნაზე იჯდა, „დილასთან“ (2:0) კი სათადარიგოთა სკამზე...**

— ჩიხრაძე ემოციურია და მუდმივად მითითებებს იძლევა — ბევრზე ეს კარგად მოქმედებს. პირადად ჩემთვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ვფიქრობ, „ლოკომოტივთან“ უფრო ფეხბურთელებმა ვერ ვითამაშეთ, ვიდრე მწვრთნელი დაგვაკლდა.

**— „ამერში“ შარშან მიხვედი. თავიდან ძირითადში იშვიათად იყავი, ბოლო დროს კი მუდმივად ხარ. როგორ შეეწყვე გუნდს და ყველაზე უფრო მეტად ვისთან ხარ შეთამაშებული?**

— ურთიერთობის პრობლემა არავისთან მქონია — ზოგს სკოლიდან, ზოგსაც ნაკრებიდან ვიცნობდი. გუნდიც ისეთია, პარტნიორობა არავისთან ჭირს. თავის დროზე მთელი წელი გამიცდა ტრავმის გამო და ძნელი იყო სასურველი ფორმის აღდგენა. თანდათან მოვუმატე, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და თუ არ ვიმუშავებ, სათადარიგოთა სკამი იქვეა, მოედანთან ახლოს...

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲟᲝᲠᲟᲝᲚᲘᲐᲜᲘ**




# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 1:8 ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ**

1:0 დარჩია (5), 1:1 დესპოტოვიჩი (9), 1:2 ლაურა (18), 1:3 დესპოტოვიჩი (28), 1:4 დუვლატი (34), 1:5 გრდოვიჩი (35), 1:6 ნოვაკი (37), 1:7, 1:8 გრდოვიჩი (38, 40)

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:** ზაქაიძე; დარჩია, ასათიანი, ცნობილაძე, კუბლაშვილი

*შეცვლაზე შევიდნენ: ბოკერია, ნეფარიძე, ბოიძე, ოსეფაიშვილი, იოსებიძე, გაბუჩია*

მწვრთნელი: პეტრე თაბუკაშვილი

**ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ:** ჯუკიჩი, პურგარი, დესპოტოვიჩი, გრდოვიჩი, დრნდიჩი

*შეცვლაზე შევიდნენ: დულვატი, ლაურა, სტანკოვიჩი, შიმურინა, ბანიჩი, ნოვაკი*

მწვრთნელი: მიკო მარტიჩი

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** ფუტსალის ნაკრებმა ესპანეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე მატჩი ხორვატების წინააღმდეგ „უკეთ“ ჩაატარა და „ოდენ“ 1:8 დამარცხდა.

ჩვენები დარჩიას გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ დესპოტოვიჩმა და მისმა თანაგუნდელებმა ქართველები არ დაინდეს და 8 ბურთი გაუტანეს.

საქართველოს ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ ხორვატები ესპანელებთან 1:3 დამარცხდნენ და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც მასპინძლებმა მოიპოვეს.

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲟᲝᲠᲟᲝᲚᲘᲐᲜᲘ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 16:2 | 6 |
| ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 9:4 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:21 | 0 |

# ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲒᲝᲚᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲜᲔᲡ



## ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ... ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ** პირველი კარლსრუეული ბუნდესგოლი აღარ შეარჩინეს: ეს ბურთი „ვოლფსბურგის“ მცველ და კოშტას ავტოგოლად მიეთვალა — ჩვენიანის დარტყმის შემდეგ მას შეეხო ბურთი და...

თუმცა ამას ხელი არ შეუშლია „აკუნასთვის“, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი გამხდარიყო. პოპულარულმა „კიკერმა“ 2-იანი შეფასება მხოლოდ ორ კარლსრუეელს, იაშვილსა და ჯოშუა კენედის დაუწერა, მაგრამ ამათ შორის ქართველი უფრო გამოარჩია.

და კიდევ ერთი აღიარება: იაშვილი ამ სეზონში პირველად მოხვდა ბუნდესლიგის ტურის სიმბოლურ ნაკრებში. რჩეულ თერთმეტეულში კიდევ ერთი კარლსრუეელი, მცველი მარიო აგიმანი შეიყვანეს.

**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ყენია–თარგამაძის შოუ გრძელდება



ლევან ყენია და დავით თარგამაძე

## პატარა ქართველებმა გაილაღეს

**ლევან ყენიამ** და დავით თარგამაძემ მორიგი წარმატებული მატჩები ჩაათამაშეს.

19-წლამდელთა ბუნდესლიგაში „შალკემ" 3:1 მოუგო „არმინიას", ყენიამ კი ერთი საგოლე პასი გააკეთა და პენალტიც მოინადირა.

„უნიჭიერესი ქართველი კვლავ უგოლოდ დარჩა, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა" — წერს „შალკეს" ვებგვერდი.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ლევანმა 85 წუთი იბურთავა, მისი გუნდი კი ერთ-ერთი ლიდერია თავის ზონაში.

გოლი არც თარგამაძეს გაუტანია, თუმც უდავოდ საუკეთესო გახლდათ „აინტრახტთან" 3:2 მოგებულ მატჩში.

18 წლის ქართველმა ორი საგოლე პასით აჩეირა თავისიანები, მათ შორის, 86-ე წუთზე ისეთი დრიბლინგი გააკეთა, რომ თანაგუნდელს ცარიელ კარში ფეხის მირტყმაღა დასჭირდა გამარჯვების გოლის შესაგდებად.

დავითმა მარცხენა გარემარბად ითამაშა, მისი „ფრაიბურგი" კი ამ მოგებით მეორე ადგილზე გადავიდა ბუნდესლიგაში.

ისიც ვთქვათ, რომ თარგამაძეს საკმაოდ ხშირად „ფრაიბურგის" მთავარ გუნდშიც ავარჯიშებენ და თუ ასე ყოჩაღად გააგრძელებს, მომავალი სეზონიდან, ალბათ, „ფრაიბ" ძირითადში დაიმკვიდრებს ადგილს.

**ილია ნანობაშვილი**

## ბაბუნაშვილი დინაბურგს დაშორდა

**თურქული** შეკრება დაასრულა და შინ დაბრუნდა თამაზ პერტიას „დინაბურგი", რომელმაც ბოლო ტესტ-მატჩი გამართა „ზენიტის" დუბლებთან და 3:0 მოიგო. შოთა ბაბუნაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, ბაქარ გიორგაძე კი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე.

ლატვიაში დაბრუნებამდე ბაბუნაშვილი ორი დღით საქართველოში ჩამოვიდა და ისევ „დინაბურგს" უნდა შეერთებოდა, თუმცა ლატვიელებმა ფინანსური პრობლემების გამო მისი დატოვება ველარ შეძლეს...

ასევე ლატვიური „სკონტო" კი კრასნოდარის „ყუბანს" შეხვდა და 2:1 მოუგო. გასინჯვაზე მყოფმა ვლადიმერ დვალიშვილმა სრულად ითამაშა, დავით გამეზარდაშვილმა კი — მეორე ტაიმი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



## გივი კვარაცხელია ლიტვაში დაოჯახდა

**ლიტვური** „კაუნასის" ოფიციალურ ვებგვერდზე გივი კვარაცხელიასა და ვილნიუსის უნივერსიტეტის სტუდენტის, ანი ვისოცკისის ჯვრისწერის ფოტოა გამოქვეყნებული.

ახალგაზრდა წყვილი შაბათს დაქორწინდა და წვეულებაზე გივიმ თითქმის მთელი „კაუნასი" დაპატიჟა, მათ შორის, ცხადია, თანამემამულეები — ნუკრი მანჩხავა და აკაკი ხუბუტიაც.

„სარბიელი" ახალშექმნილ ოჯახს ბედნიერებას უსურვებს!

აქვე ვთქვათ, რომ კვარაცხელიას მცირე ტრავმა ჰქონდა, უკვე მოიშუშა და მომდევნო შეკრებაზე ტესტ-მატჩებშიც ითამაშებს.

**ილია ნანობაშვილი**

## გულნარა თურქეთში მარსკვლავებს აგროვებს 5 გოლი და 3 საგოლე პასი ერთ მატჩში!

**წარმატებით** აგრძელებს თამაშს ამ ზამთარს თურქულ „ტრაბზონსფორში" გადასული გულნარა გაბელია.

ქართველმა გოგონამ უკვე მეორე მატჩი ჩაატარა ბაიანლიგაში და მეტოქეს მეტოქეზე ანადგურებს. სადებიუტო მატჩში ორი გოლის გამტანმა გაბელიამ ამჯერად ორდუს „სოიასფორს" გადაურბინა — 5 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი გააკეთა.

საბოლოოდ, „ტრაბზონსფორმა" 9:0 მოიგო.

გულნარამ მე-5, 34-ე, 36-ე, 46-ე და 66-ე წუთებზე გამოიჩინა თავი და ორ მატჩში გატანილი 7 გოლით ბომბარდირებში მეოთხე ადგილზეა.

შეგახსენებთ: ჩვენებურს პირველი წრე არ უთამაშია, ოდენ ორიოდ თვის წინ შეუერთდა „ტრაბზონსფორს".

გაბელიას გუნდმა C ჯგუფიდან გასვლა წინა ტურში გაინაღდა, თუმცა ჯერ კიდევ ორი ფორმალური თამაში დარჩა ჩასატარებელი.

გულნარა გაბელიას მენეჯერ კახა ადამიას ცნობით, ქართველმა გოგონამ „სოიასფორთან" მატჩში ჟურნალისტებისგან მაქსიმალური შეფასება — 5 ვარსკვლავი დაიმსახურა.

და ერთიც: „ტრაბზონსფორის" მეორე ქართველს, მეკარე ქრისტინა შადობას ამ მატჩში არ უთამაშია.

**კახა შალამბერიძე**



გულნარა გაბელიას თურქეთში ველარ აჩერებენ

## ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ლაციო 1:1 | 90 | | 20 | 0 | 5 |
| ლევან მჭედლიძე | ემპოლი | შ | სიენა 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 17 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ნიუკასლი 1:0 | 90 | | 13 | 0 | 7 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | შ | რაპიდი 0:2 | 90 | | 25 | 0 | 5 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ბაიერნი 0:1 | 0 | სათადარიგო | 9 | 1 | 6 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | შ | ვოლფსბურგი 3:1 | 90 | საგოლე პასი | 18 | 0 | 5 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | შ | ალემანია 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 8 |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი | ს | კობლენცი 0:2 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 18 |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი | ს | კობლენცი 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 10 | 0 | 18 |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი | ს | კობლენცი 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 18 |
| **ესპანეთი. პრიმერადივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე | შ | სარაგოსა 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 20 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი | შ | ბაზელი 1:3 | 7 | შეცვლაზე შევიდა | 16 | 1 | 10 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | შ | ბუდეიოვიცე 2:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 7 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | დნიპრო 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 3 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | ხარკოვი 2:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 3 |
| კახა ალადაშვილი | ხარკოვი | ს | კარპატი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | 12 |
| ლადო ბურდული | ზარია | ს | არსენალი 1:1 | 0 | | 16 | 0 | 10 |
| ლაშა ჯაკობია | ვორსკლა | ს | მეტალისტი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| ირაკლი მოდებაძე | კრივბასი | შ | ტავრია 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 8 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | შ | დინამო 0:4 | 29 | შეცვლაზე შევიდა | 15 | 3 | 2 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | შ | დინამო 0:4 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 2 |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი | შ | ზარია 1:1 | 0 | სათადარიგო | 16 | 2 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

**მანჩესტერი (ინგლისი) — ლიონი (საფრანგეთი) (1:1)**
**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, სქოულზი, ჰარგრივსი, ანდერსონი, რონალდუ, რუნი, გიგზი
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**ლიონი:** კუპე, კლერკი, კრისი, სკილაჩი, გროსო, ბენ არფა, კალსტრიომი, ტულალანი, ჟუნინიო, გოვუ, ბენზემა
**მწვრთნელი:** ალენ პერენი
**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)

# ფერგიუსონს არაფრის შემქმნელი აშინებს
## ევრა კატასტროფის წინააღმდეგ


მანჩესტერელებს საბოლოო წარმატებაში ეჭვიც არ ეპარებათ

**„მანჩესტერი“** საუცხოო ფორმაშია და ალექ ფერგიუსონი „ლიონს“ ემუქრება. „ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიგოთ. უმნიშვნელოვანესი მატჩია და ფეხბურთელებმა ეს გაითავისეს. კარგია, რომ „ფულემთან“ რამდენიმე მოთამაშე დავასვენე და სამშაბათისთვის საღად იქნებიან — თქვა შოტლანდიელმა.

შაბათს „მანჩესტერმა“ სტუმრად „ფულემს“ 3:0 მოუგო. კრიშტიანუ რონალდუ და უეინ რუნი მეორე ტაიმში შაცვლაზე შევიდნენ, რაიან გიგზს და ნემანია ვიდიჩს კი მსუბუქი ტრავმა ჰქონდათ და მწვრთნელმა ისინი განაცხადს მიღმა დატოვა. ოთხივე ფეხბურთელი დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„მონაკოს“ ყოფილმა მცველმა, ახლა კი „მანჩესტერში“ მოთამაშე პატრის ევრამ განაცხადა, რომ მისი გუნდი მეოთხედფინალში თუ ვერ გავა, კატასტროფა იქნება. „ამის წარმოდგენაც კი არ მინდა — თქვა ევრამ — „ლიონის“ შეუფასებლობა არ ეგების. ძალიან ძლიერი მეტოქეა, რაც პირველ მატჩშიც გამოჩნდა. მაშინ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა გასათანაბრებლად, მაგრამ „მანჩესტერი“ შინ ყოველთვის კარგად თამაშობს და მეოთხედფინალში რომ ვერ გავიდეთ, კატასტროფა იქნება“.

ალექს ფერგიუსონის გუნდი „ოლდ ტრეფორდზე“ მართლაც განსაკუთრებულია — 2005 წლის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში 33 საშინაო მატჩში არ დამარცხებულა და ბოლო ცხრა მოიგო. შემოდგომაზე ჯგუფურ ეტაპზე შინ სამივე შეხვედრაში იმარჯვა და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. გარდა ამისა, ფრანგულ კლუბებს „ოლდ ტრეფორდზე“ ათჯერ უმასპაინძლა, შვიდჯერ წაგებული გაისტუმრა და სამჯერ დაუზავდა.

პირველ მატჩს თუ გავიხსენებთ, „ლიონი“ ცდილობდა, გოლი არ გაეშვა, რაც არასწორი მგონია — განაცხადა ფერბიუსონმა — ასეთი ტაქტიკას ბევრი გუნდი მიმართავს ორმატჩიან დუელში. ტევესი და ნანი შევუშვი შეცვლაზე და მაინც გავუტანეთ. ვფიქრობ, რომ ფრეს ვიმსახურებდით. მათგან ყველაზე სახიფათონი ჟუნინიო და ბენზემა არიან. ბენზემას არაფრისგან შეუძლია გოლის შექმნა და ასეთ ფორვარდებს მცველებისგან განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება“.

„ლიონმა“ შაბათს სტუმრად „ლილს“ 1:0 მოუგო ფრედის გოლით, მწვრთნელმა ალენ პერენმა კი თქვა: „მანჩესტერთან“ პირველი მატჩის წინ „ლე მანთან“ სტუმრად 0:1 წავაგეთ, მაგრამ ინგლისელებთან მაინც კარგად ვითამაშეთ. ამჯერად „ლილთან“ მოვიგეთ და უკეთეს ხასიათზე ვართ. მანჩესტერში კარგი განწყობით მივდივართ, რადგან მათთან ტოლ-სწორად თამაში შეგვიძლია“.

ლიონელთა კაპიტანი ბრაზილიელი მცველი კრისი შვიდთვიანი მკურნალობას შემდეგ გამოკეთდა და „ლილთან“ ითამაშა. სავარაუდოდ, იგი დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნება. „თავს კარგად ვგრძნობ. ბედნიერი ვარ, რომ გამოვჯანმრთელდი და მოედანს დავუბრუნდი. ფიზიკურად რა მიჭირს, მაგრამ გონებრივად ცოტა რთული ყოფილა მობილიზება, რადგან ნახევარ წელზე მეტია, ბურთს არ გავკარებივარ. თამაში მწყურია და ვიმედოვნებ, რომ დამრიგებელი „ოლდ ტრეფორდზე“ გამიყვანს, თუმცა ეს მისი გადასაწყვეტია“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნეილორს ესმის: მთავარია მესი


რაიკარდმა, კარგად მოვემზადეთ

**მეოთხედფინალში** გასასვლელად „სელტიკმა“ უნდა გააკეთოს ის, რაც ჩემპიონთა ლიგაში აქამდე ვერ მოუხერხებია — სტუმრად მოიგოს. „ბარსელონამ“ ჯგუფურ ეტაპზე სამივე საშინაო შეხვედრაში იმარჯვა ბურთების შეფარდებით 8:1. ამის გათვალისწინებით, „კამპ ნოუზე“ „სელტიკის“ გამარჯვება საეჭვოა.

„ბარსელონას“ ჯგუფში იყო მეორე გლაზგოური გუნდი „რეინჯერსი, რომელმაც ესპანეთში 0:2 წააგო. გოლები მესიმ და ანრიმ გაიტანეს. ბიჭებმა იყოჩაღეს სტუმრად „სელტიკთანაც“, არგენტინელმა დუბლი შეასრულა, ფრანგმა კი ერთი შეაგდო. მოკლედ, მესიმ და ანრიმ გლაზგოური კლუბები გაიპიროვნეს.

„თეთრ-მწვანეებს“ ორჯერ უთამაშიათ „კამპ ნოუზე“ და ორჯერვე ფრეს მიაღწიეს. უეფას თასის მეოთხე ეტაპზე (2003-04) ბარსელონაში შეხვედრა 0:0 დასრულდა, მომდევნო სეზონში კი (ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში) 1:1.

„სელტიკის“ მცველ ლი ნეილორს მიაჩნია, რომ მთავარია მესის შეჩერება: „როგორმე მისი ამოკეტვა უნდა მოვახერხოთ. პირველ მატჩში მოედანზე თითქოს არ ჩანდა, მაგრამ ორი გოლის გატანა მაინც მოასწრო, რითაც თავისი მაღალი კლასი კიდევ ერთხელ დაამტკიცა“.

მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი კი თამაშის დასაწყისშივე გოლის გატანაზე ოცნებობს: „ვერ ვიტყვი, რომ თავიდან უკანმოუხედავად შევუტევთ, მაგრამ გაცილებით სჯობს, თუ შენი გუნდი გოლის გატანას ცდილობს და თერთმეტივე ფეხბურთელი საკუთარ ნახევარზე გამოკეტილი არაა. ტაქტიკასაც ისე ავაწყობთ და ისე მოვემზადებით, რომ „კამპ ნოუზე“ პირველი ჩვენ გავიტანოთ. ბარსელონაში იმედიანად და კარგი განწყობით მივდივართ, რადგან შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს“.

ნახევარმცველი ეიდინ მაკგიდი: „მეოთხედფინალში თუ გავალთ, ეს იქნება კლუბის ისტორიაში უდიდესი ამბავი. ჩვენ ხომ „ბარსელონას“ ვეთამაშებით, რომელსაც ერთი ან ორი კი არა, მსოფლიო კლასის ექვსი-შვიდი ფეხბურთელი ჰყავს. მათთვის ბურთის წართმევა ძალიან ძნელია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ამჯერად გაცილებით უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე პირველ მატჩში და შეცდომებს აღარ გავიმეორებთ“.

„ბარსელონამ“ შაბათს მადრიდში „ატლეტიკოსთან“ 2:4 წააგო, „სელტიკმა“ კი სტუმრად „ჰიბერნიანს“ მოუგო. კატალონიური გუნდის მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა განაცხადა: „არა მგონია, ამ მარცხმა „სელტიკთან“ მატჩის წინ განწყობა წაგვიხდინოს და ფეხბურთელებზე უარყოფითად იმოქმედოს. ვიცით, რომ ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ სამშაბათისთვის კარგად მოვემზადებით“.

„0:1-ზე მეორის გატანა და თამაშის „მოკვლა“ გვმართებდა. ეს უნდა ვისწავლოთ, რათა ზომავალში მსგავსი რამ არ განმეორდეს. „ატლეტიკომ“ თავისი შანსი გამოიყენა, ჩვენ კი უამრავი გავანიავეთ“ — აღნიშნა ხავიმ.

რაიკარდმა მესი დაასვენა და მეორე ტაიმში შეუშვა. არგენტინელი დღეს ანრისთან, ეტოოსთან და რონალდინიოსთან ერთად ძირითად შემადგენლობაში იქნება.

რაც შეეხება „სელტიკს“, სასჯელმოხდილი ნახევარმცველი სკოტ ბრაუნი დაუბრუნდა, რომელმაც „ბარსასთან“ პირველი მატჩი გამოტოვა. იან ვენეგორ ოფ ჰესელინკი ტრავმირებულია და მის ნაცვლად შეტევაში, ალბათ, იორგიოს სამარასი ითამაშებს, რომელმაც „ჰიბერნიანს“ გოლი გაუტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

**სევილია (ესპანეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) (2:3)**
**სავარაუდო შემადგენლობები**

**სევილია:** პალოპი, დანი ალვეში, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, მოსკერა, ხესუს ნავასი, რენატო, პოულსენი, მარესკა, ლუიშ ფაბიანო, კანუტე
**მწვრთნელი:** მანუელ ხიმენესი
**ფენერბაჰჩე:** ვოლკანი, გოხანი, ლუგანო, ვედერსონი, რ. კარლოსი, აპია, აურელიო, ალექსი, ულური, კეჟმანი, დეივიდი
**მწვრთნელი:** ზიკო
**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)


სტამბოლელებს კეჟმანის ეიმედებათ

# ვოლქან ბალი ელიტას ითხოვს
## კეჟმანმა გახვრეტილი დაცვა ნახა

**2004 წლის** 23 ნოემბრის შემდეგ „ფენერბაჰჩეს“ ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად არ მოუგია, თუმც ამჯერად მეოთხედფინალის გასანაღდებლად გამარჯვება არც სჭირდება — ფრეც ეყოფა. უეფას თასის ორგზის მფლობელი „სევილია“ კი შინ საუცხოოდ თამაშობს — 14 მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგო, სტუმრებს ორჯერ დაუზავდა და 11-ში იმარჯვა.

ორივე გუნდი მერვედფინალში პირველადაა და, ცხადია, „სანჩეს პისხუანზე“ დიდი ბრძოლა გაიმართება მეოთხედფინალში გასასვლელად.

„ჩვენი მიზანია ევროელიტაში შესვლა. „ფენერბაჰჩე“ „მილანის“, „რეალის“, „ბარსელონას“, „მანჩესტერისა“ და „ჩელსის“ მარაქაში უნდა გაერიოს. ამის გაკეთება რთულია, მაგრამ ამბიცია არ გვაკლია და ძალაც შეგვწევს“ — თქვა სტამბოლური კლუბის მენეჯერმა ვოლქან ბალიმ. თურქულ გრანდებს ფული არ აკლიათ, მაგრამ ევროპული ჯილდოებით ვერ დაიკვეხნიან. ერთადერთი „გალათასარაი“, რომელმაც 2000 წელს უეფას თასი მოიგო.

„სევილია“ შაბათს ლა კორუნიაში „დეპორტივოსთან“ ფრედერიკ კანუტეს გოლით იგებდა, მაგრამ 1:2 წააგო. ძირითად შემადგენლობაში არ იყო ბომბარდირი ლუიშ ფაბიანო, რომელიც მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა, თუმც გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა.

„ფენერბაჰჩემ“ ჩემპიონატში „ანკარაგიუჯიუსთან“ სტუმრად ითამაშა და უგოლოდ დაუზავდა, რის გამოც ცხრილში პირველი ადგილიდან მესამეზე ჩამოვიდა. „ფენერის“ ლეგიონერმა მატეია კეჟმანმა განაცხადა: „სევილიასთან“ პირველ მატჩში სამი გოლი შევაგდეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდის დაცვა მთლად გაუვალი არაა. გამარჯვებამ რწმენა შეგვმატა და, ვფიქრობ, სტუმრადაც უნდა მოვახერხოთ ერთი-ორის გატანა. ესპანეთში ფრეც გვყოფნის მაგრამ 0:0-ზე თამაში სისულელეა. უნდა შევუტიოთ და მოგება ვცადოთ. მეოთხედფინალში გასვლით კლუბის ისტორიაში შევალთ“.

სევილიელ კრისტიან პოულსენს კი თავისი გუნდის გამარჯვებისა სწამს, რადგან მიაჩნია, რომ ბოლო ორ სეზონში ორმატჩიან დუელებში გუნდმა დიდი გამოცდილება მიიღო. „უეფას თასი ზედიზედ ორჯერ მოვიგეთ და არაერთხელ გამოვსულვართ გამარჯვებულები რთული ვითარებიდან. ცხადია, უკეთესი იქნებოდა, სტამბოლში ბოლოს გოლი რომ არ გაგვეშვა და თამაში 2:2 დასრულებულიყო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, საკუთარ სტადიონზე მოვიგებთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ემძლვნება ძმის ხსოვნას

**ბაკარი სანიამ** ძმის გარდაცვალებით განცდილ ტკივილზე ილაპარაკა — „არსენალის“ მარჯვენა მცველის ძმა ომარი, ლონდონელთა და „მილანის“ პირველი საჩემპიონთალიგო თამაშის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა.

„გუნდში დაბრუნება და „მილანთან“ საპასუხო შეხვედრაში მონაწილეობა მამაჩემმა დამაძალა — უამბო ფრანგმა ჟურნალისტებს — და მეც გადავწყვიტე, მამისთვის დამეჯერებინა. საკუთარ თავს უნდა ვძლიო. ყველას უნდა ვაჩვენო, რომ ძლიერი ადამიანი ვარ. ეს უპირველესად ჩემს ოჯახს უნდა დავანახო. დღეს ასეა საჭირო: მე ჩემს თანაგუნდელებთან უნდა ვიყო და მეოთხედფინალში გასვლისთვის „მილანთან“ ვიბრძოლო. აქ, „არსენალში“ ყველა გვერდით დამიდგა და გამამხნევა. ამ ყველაფერზე ლაპარაკი მართლაც ძალიან ძნელია, მაგრამ მინდა დიდი მადლობა ვუთხრა როგორც ფეხბურთელებს, ისე ჩვენი კლუბის ნებისმიერ თანამშრომელს. ყველამ საოცარი თანადგომა მაგრძნობინა. განსაკუთრებით გაელ კლიშისა და მის მეგობარ გოგონას ვმადლობ. ისინი განსაკუთრებულნი იყვნენ. ახლა, მილანში ედუარდოსა და ჩემი ძმის გამო უნდა გავიმარჯვოთ“.

**პაპუნა ძედია**

# ვენგერს ადებაიორი უკარნახეს
## ანჩელოტი თავით ითამაშებს

**მილანი (იტალია) — არსენალი (ინგლისი) (0:0)**
**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი:** კალაჩი, ოდო, ნესტა, კალაძე, მალდინი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, პატო, ინძაგი
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**არსენალი:** ალმუნია, სანია, სენდეროსი, გალასი, კლიში, ებუე, ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, ფლამინი, დიაბი, ადებაიორი
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)

**ჩემპიონთა** თასის შვიდგზის მფლობელი „მილანი“ ინგლისურ კლუბებთან შინ არასოდეს დამარცხებულა. 11-დან შვიდი მატჩი მოიგო და ოთხი ფრედ დაასრულა. გარდა ამისა, ორრაუნდიან მატჩებში ინგლისელებს რვიდან ექვსჯერ აჯობა.

თავის მხრივ, „არსენალს“ დადებითი ბალანსი აქვს იტალიელებთან ორმატჩიან დუელში — ხუთიდან ორჯერ გაიარა მეტოქე.

„მილანმა“ შაბათს ჩემპიონატში „ლაციოს“ უმასპინძლა და 1:1 დაუზავდა. კარლო ანჩელოტიმ კაკა, ამბროზინი, ნესტა და მალდინი დაასვენა, მაგრამ იანკულოვსკი, ზეედორფი და ემერსონი დაუშავდა. ამ სამეულის თამაში დღეს საეჭვოა.

„არსენალი“ კი „ასტონ ვილას“ დაუხვდა და შეხვედრა მილანურის მსგავსი ანგარიშით დასრულდა. „მეთოფეები“ აგებდნენ, მაგრამ ნიკლას ბენდტნერმა ბოლო წამს გაათანაბრა. ბენდტნერი დღეს ძირითად შემადგენლობაში ალბათ არ იქნება, რადგან არსენ ვენგერი ხუთი ნახევარმცველით და ერთი ფორვარდით (ემანუელ ადებაიორით) თამაშს აპირებს.

რაც შეეხება „მილანს“, თუ იანკულოვსკი ვერ გამოკეთდა, მის ადგილს კახა კალაძე დაიკავებს, ზეედორფისას კი — ამბროზინი. შეტევაში იქნებიან ინძაგი და პატო, ხოლო ჯილარდინიო, რომელსაც კვირას გოგო შეეძინა, სათადარიგოებში დარჩება.

„ყველაზე მეტადის მადარდებს, რომ ძალიან ძლიერ მეტოქესთან მატჩს საუკეთესო ფიზიკურ ფორმაში ვერ ვხვდებით — თქვა კარლო ანჩელოტიმ — მაგრამ მაინც იმედიანად ვარ, რადგან ასეთი თამაშებისთვის ფეხბურთელებს მოტივაცია მეტი აქვთ და ენერგიას გამონახავენ. ამ შემთხვევაში, მთავარი მენტალიტეტია და არა ძალღონე. მართალია, გადაღლილები ვართ, მაგრამ არც სხვა გუნდები არიან დასვენებულები. შარშანაც მსგავს ვითარებაში ვიყავით, თუმც ბოლომდე ვიარეთ და თასი მოვიგეთ. კარგია, რომ კაკა გამოჯანმრთელდა, პირლომ და ნესტამაც დაისვენეს და სამივე ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

არსენ ვენგერს კი გაუკვირდა, რომ თურმე ემანუელ ადებაიორს ჩემპიონთა ლიგის 14 მატჩში გოლი არ გაუტანია. „ეს დაუჯერებელია — გაოცდა ფრანგი — ამას არც კი დავკვირვებივარ, სანამ არ მითხრეს. თუ თოთხმეტში ვერ გაიტანა, ვიმედოვნებ, რომ მეთხუთმეტეში, „მილანთან“ მოახერხებს“.

„მეთოფეთა“ მწვრთნელი კაკასთვის პერსონალური მეურვის მიჩენას არ აპირებს: „იტალიის ჩემპიონატში „მილანის“ წინააღმდეგ მოთამაშე კლუბებისთვის თამაშიდან კაკას გამოთიშვაა მთავარი. ჩემი აზრით, ეს მცდარია. სულაც არ ვაპირებ, გუნდს კაკაზე ნადირობა დავავალო. ასეთ დიდებულ ფეხბურთელს ფეხი თუ არ გაანძრევინე, გულშემატკივარმა რაღას უნდა უყუროს? კარგად მახსოვს „მილანისა“ და „მანჩესტერის“ შარშანდელი მატჩი. იტალიელებმა თავიდანვე მაგრად შეუტიეს და 20 წუთში მეტოქეს ბოლო მოუღეს. შევეცდებით, „მილანს“ ამის საშუალება არ მივცეთ, საამისოდ კი დაცვაში ყურადღებით თამაშია საჭირო. ბურთის უგზო-უკვლოდ მოგერიება არ გვარგებს, თორემ დავისჯებით. კარლო ანჩელოტის გუნდი ძალიან გამოცდილია და სერია A-ში რომ მეხუთე ადგილზეა, ეს არაფერს ნიშნავს. ჩემპიონთა ლიგა სულ სხვა რამაა“.

„მეთოფეებს“ ტრავმის გამო შესაძლოა, კოლო ტურე დააკლდეთ, რობინ ვან პერსი კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ მწვრთნელმა თქვა, რომ ჰოლანდიელი ძირითად შემადგენლობაში არ იქნება. ვან პერსის ხუთი თვე გაუცდა და სათამაშო პრაქტიკა აკლია.

**ვაჟა ხუციშვილი**



# საძაგელი ფორმები

ამქვეყნად ბევრ კლუბს ჰქონია ისეთი ფორმა, რომლის გახსენებაზე მისი გულშემატკივრები დღემდე ისე ხტიან, გეგონება, ღამეული კოშმარი დასიზმრებოდეთ, მაგრამ განსაკუთრებით თავზარდამცემი მაინც იშვიათია. ამ ბოლო დროს, სხვადასხვა ათეულების შედგენით გატაცებულმა ინგლისურმა გაზეთმა „სანმა" საძაგელი მაისურების ათეულიც შეადგინა და ჩვენს სამსჯავროზე გამოიტანა. მართალია, შავ-თეთრი ბეჭდვა მათი სრული სიგრძე-სიგანით გახსენების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ...

### 10. ჩელსი 1995



გაზეთის აზრით, ლონდონელთა ერთ-ერთი ამჟამინდელი ფორმა დღის განათებას ჰგავს და საძაგლობაა, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც 1990-იან წლებში, რუუდ გულიტის დროს ეცვათ, „დახვეწილი გემოვნების" ნიმუშია. ნაცრისფერისა და სტაფილოსფერის შეხამება თავში აზრად ნეტავ ვის უნდა მოსვლოდაო, კითხულობენ ჟურნალისტები.

### 9. კამერუნი 2002



ამ ფორმაში მთავარი ფერთა შეხამება კი არა, სტილია.

### 8. ასტონ ვილა 1993

ეს იმდროინდელი საშინელებაა, როცა ბირმინგემულ კლუბს ინგლისურ ფეხბურთში ჯერ კიდევ ეთქმოდა სიტყვა. ეს საშინელება მწვანე და შავის კომბინაციაა...

### 7. ნორვიჩი 1993

ეს კოშმარი იყო მაშინ, როდესაც „ნორვიჩი" ევროპაში ცდილობდა ხეზე აძვრომას. ნორვიჩელთა წინააღმდეგ ნებისმიერი „ბაიერნი" და „მილანი" ძრწოდა. მათი მეტოქე პეინტბოლნათამაშებს ჰგავდა.

### 6. ხორხე კამპოსი 1994



უიმე, დედა! მექსიკელმა მეკარემ, როგორც იქნა, თავისი უგემოვნებობა სრულ ფსიქიკურ გადახრამდე დახვეწა...

### 5. მექსიკის ნაკრები 1998



ეტყობა, მექსიკელებმა პატარა ბავშვს მწვანე ფანქარი მისცეს და რაც გამოვიდა, ეს იყო.

### 4. მანჩესტერ იუნაიტედი 1995



„მანჩესტერი" „მანჩესტერია", მაგრამ ხალხის გემოვნების გაფუჭებაში მასაც დიდი წვლილი მიუძღვის. ერთხელ, „საუთჰემპტონთან" ფეხბურთელები მოედანზე ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. ამ მოტივით, ალექს ფერგიუსონმა თავის გუნდს შესვენებისას მაისურები შეაცვლევინა კიდეც — მესამე ფორმა ჩაიცვეს, მაგრამ მაინც წააგეს.

### 3. ქოვენთრი 1978

როგორც ხედავთ, საძაგელ ფორმათა უმეტესობა ბოლო პერიოდში, კომერციალიზაციის ეპოქაში შეიკერა. რას იზამ, ფულით გემოვნებას ვერ იყიდი, მაგრამ „ქოვენთრიმ" კოშმარის მოფიქრება [illegible]-იან წლებშიც მოახერხა.

### 2. არსენალი 1991



90-იანი წლების დასაწყისი ექსპერიმენტების ეპოქა გახლდათ, „არსენალი" კი მოდის ოვალსაზრისით ყოველთვის გამოირჩეოდა ნოვაციებით და ექსპერიმენტებით, მაგრამ მაშინ გადააჭარბეს...

### 1. ჰალ სიტი 1992



ალბათ, დიზაინერს უთხრეს, ვეფხვის ტყავი ჩაგვაცვიო და მანაც ცხოველის გატყავება არ დაიზარა.

**პაპუნა კედია**

# შერილს არაფერი ეშლება

**შერილ კოულმა** თავისი ჩიტირეკია, მაგრამ „ჩელსის" ვარსკვლავი ქმრისთვის, ეშლი კოულისთვის თავისი დამოკიდებულების გამოსახატავად ჩინებულ ხერხს მიაგნო: თავის ახალ სიმღერაში ერთს ლაზათიანად აგინებს.

შეგახსენებთ, შერილ კოული Girls Aloud-ის სოლისტი გახლავთ. ის ამჟამად ლოს ანჯელესშია, სადაც Black Eyed Peas-ის სოლისტ WILL.I.AM-თან სიმღერას წერს.

და, რას ამბობენ ამ საქმის მიმომხილველი ჟურნალისტები, იცით? ნუ იფიქრებთ, რომ თვალს მხოლოდ შერილის მოფერიანება და ძველებურად ეშხიანი იერი იპყრობს, აქ მის შესახედაობაზე არანაკლები სიმღერის ტექსტია, სადაც ასეთი ფრაზაც არის: You've been a f***** jerk რაც ქართულად დაახლოებით იმას ნიშნავს, შენ „ასეთი და ისეთი" იდიოტი იყავიო. ერთი სიტყვით, ლოს ანჯელესში შერილ კოული ერთ-ერთი ტელეკომპანიისთვის დოკუმენტურ ფილმს ამზადებს და ეს ყველაფერი იქ შევა.

და რას აკეთებს ამ დროს ცოლის მოღალატე ეშლი? როგორც მან თავისი ოჯახის წევრებს უთხრა (მათგან კი მთელმა მსოფლიომ გაიგო), შერილმა მას აპატია და უბრუნდება.



შერილ და ეშლი კოულები

მოგეხსენებათ, ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ჩელსიმ" „ვესტ ჰემს" 4:0 მოუგო და ოთხი გოლიდან ერთი ეშლი კოულმაც გაიტანა. მიმოხილვის წამყვანს, წარსულში ცნობილ გარი ლინეკერს და სტუდიაში მიწვეულ ასევე ლეგენდარულ ალან შირერს ამ ამბავზე უმასხრიათ კიდეც — აი, ხომ ხედავთ, ეშლიმ გოლების გატანა გაიხსენაო და მიკროფონში ჩაუცინიათ.

**პაპუნა კედია**

# რეჯინამ თავი შეცვალა

**„რეჯინას"** მწვრთნელი რენცო ულივიერი მოხსნეს და მის ნაცვლად მეორე გუნდის თავკაცი ნევიო ორლანდო დანიშნეს. ულივიერიმ თავის მხრივ მასიმო ფიკადენტი ნოემბერში შეცვალა იმ იმედით, რომ გუნდს ქვედა სამეულიდან ამოიყვანდა, მაგრამ ვერ მოახერხა. მწვრთნელს ორი კვირის წინ „იუვენტუსთან" მოგებამაც ვერ უშველა, როცა რეჯიოკალაბრიელებმა ტურინული გრანდი 2:1 დაამარცხეს. გასულ კვირას „პალერმოსთან" ფრემ რენცო ულივიერის სკამი ისე შეარყია, რომ გაუშვეს და მის ადგილას დროებით ნევიო ორლანდი დაიკავებს.

# ბანეგამ პოლიციაში ითამაშა

**„ვალენსიას"** არგენტინელი ნახევარმცველი ევერ ბანეგა საჭესთან ნასვამი იჯდა და ამის გამო პოლიციაში მოხვდა. ფეხბურთელს მართვის მოწმობა არ ჩამოართვეს, რაკი მის სისხლში ალკოჰოლის ოდენობა დასაშვებს არ აღემატებოდა. მაგრამ საჯარიმო ქულები დაუწერეს, ეს კი ნიშნავს, რომ დააჯარიმებენ. ევერ ბანეგა „ვალენსიაში" ამ ზამთარს „ბოკა ხუნიორსიდან" გადავიდა და მის ნაცვლად მილიონ 800 ათასი ევრო გადაიხადეს.

# რებროვი რუბინში

**კიევის** „დინამოს" და უკრაინის ნაკრების ფორვარდი სერგეი რებროვი ყაზანის „რუბინში" გადავიდა. 17-წლიან კარიერაში ფეხბურთელს დონეცკის „შახტარში", კიევის „დინამოში", „ტოტენჰემში", „ვესტ ჰემსა", და „ფენერბაჰჩეში" უთამაშია. დინამოელთა მაისურით მან ცხრაჯერ მოიგო უკრაინის ჩემპიონატი, შვიდჯერ კი უკრაინის თასი. 1998-ში 22 გოლით ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა. ნაკრებში მას 75-ჯერ უთამაშია და 15 გოლი გაიტანა. კიევის „დინამოს" ისტორიაში ის საუკეთესო მეგოლეა 112 გოლით.

# კოლერის ფურთხი დაიჭირეს

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირი „ნიურნბერგის" ფორვარდის იან კოლერის ამბავს იძიებს. ჩეხმა მეგოლემ შაბათს „ჰანოვერთან" მატჩში მეტოქის ფეხბურთელებს მიაფურთხა, ეს მსაჯმა ვერ შეამჩნია, მაგრამ ტელეკამერებმა გამოიჭირეს. სადისციპლინო კომიტეტმა ამის გამო საქმე გახსნა და თუ კოლერი დამნაშავედ ცნეს, სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდება. „ჰანოვერმა" „ნიურნბერგს" შინ 2:1 მოუგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

### არგენტინა

კლაუსურა. IV ტური

ხიმნასია (ლ) 0:1 ბოკა ხუნიორსი

### მექსიკა

კლაუსურა. VIII ტური

სანტოსი 2:0 მონტერეი

# განსაკუთრებული ტური



მარსილო ზალაიეტამ „ინტერის" სუპერსერია შეწყვიტა

**სერია A-ს 26-ე ტურს ნამდვილად შეგვიძლია ვუწოდოთ განსაკუთრებული. სხვა რომ არაფერი, მილანის „ინტერმა" დიდი პაუზის მერე წააგო. channel4.com კი მორიგ საინტერესო ჩანახატს გვთავაზობს**

### გამარჯვებულები

***მარსელო ზალაიეტა (ნაპოლი)*** — ურუგვაელი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის მერე დაუბრუნდა მინდორს და „ინტერთან" შეხვედრის მესამე წუთზევე გაიტანა, რითაც „ნერაძურის" სერია A-ში სარეკორდო წაუგებელი სერია შეუწყვიტა. მოგვიანებით იგი კინაღამ ანტიგმირად იქცა, როცა ჟულიო სეზარმა პენალტი აულო, მაგრამ მარსელოს გოლის მნიშვნელობას თუ გავითვალისწინებთ, ესეც ეპატიება.

***ჩეზარე პრანდელი (ფიორენტინა)*** — თითქმის ყველა ელოდა, რომ „იები" თავიანთი ლიდერის, ადრიან მუტუს გარეშე ჩავარდებოდნენ, თუმცა ფლორენციელთა მწვრთნელმა კვლავ გამოავლინა თავისი ნიჭი და „იუვენტუსთან" მატჩი შემოაბრუნა. 1:2-ზე მან მინდორზე ნდიაიე პაპა ვაიგო და დანიელ ოსვალდო შეუშვა. სწორედ მათი გოლებით წაიღო „ფიორენტინამ" ტურინიდან მნიშვნელოვანი სამი ქულა. პრანდელის ჰყავს მშვენიერი, ლამაზი ფეხბურთის მოთამაშე გუნდი, რომელსაც მესამე ადგილისთვის ბრძოლა რუმინელის გარეშეც შეუძლია.

***ფედერიკო ალიარდი (პალერმო)*** — როცა 41 წლის ალბერტო ფონტანამ ტრავმა მიიღო, ალიარდის შანსი მიეცა, თავისი ოსტატობა დაემტკიცებინა და ისიც ბრწყინვალედ აკეთებს ამას. სიცილიელებმა „რეჯინასგან" გოლი რომ არ გაუშვეს, უმთავრესად სწორედ მათი მეკარის დამსახურებაა.

### დამარცხებულები

***ანტონიო კასანო (სამპდორია)*** — და აი, ისევ აქ ვართ. „ხულიგანმა" მშვენივრად ითამაშა, მორიგი ჩინებული გოლი გაიტანა, მაგრამ ბავშვური გამოხდომებისგან თავი მაინც ვერ შეიკავა და წითელი ბარათი მიიღო. ამჯერად მან თქვა მაინც, იდიოტივით მოვიქეციო, მაგრამ გენუელთა ფსიქიატრებმა კარგად თუ არ იმუშავეს, კასანოს ალსარებები საქმეს ვერ უშველის.

***მარკო მატერაცი (ინტერი)*** — პასი მისი ძლიერი მხარე არასდროს ყოფილა. როცა ესეკიელ ლავეცი მისკენ გაიქცა, „მატრიცამ" როგორც შენელებულ კადრშია ხოლმე, ისე იმოქმედა და რომ არა ჟულიო სეზარის თავგამოდება, მატერაცი თავის კარიერას მორიგ კომიკურ ავტოგოლს დაუმატებდა.

***დამიანო ძენონი (პარმა)*** — „რომასთან" „ენიო ტარდინის" ბინადართა მთელმა დაცვამ კოშმარულად ითამაშა, მაგრამ ძენონი გამოირჩეოდა. მეოთხე გოლი პირადად მან აჩუქა „გლადიატორებს". სულაც არ არის გასაკვირი, რომ მიმდინარე სერია A-ში „პარმა" გადარჩენისთვის იბრძვის.

### გოლები

***ფრანჩესკო ტოტი (რომა)*** — მაურო ესპოზიტომ საჯარიმოს მისადგომებთან ქუსლით ბრწყინვალედ დააგდო ბურთი, „ერ პუპონემ" კი ისე მოჭრა შორეულ კუთხეში, რომ ამ დარტყმის ამღები, ალბათ, არცერთი მეკარე არ იყო.

***მოჰამედ სისოკო (იუვენტუსი)*** — ორი ტურის წინ, „რეჯინასთან" მატჩში თავისი საჯარიმოდან ბურთის მაკრატელათი გამოტანა სცადა, მაგრამ პენალტი „აიკიდა". ამჯერად კი მალელმა მაკრატელათი ულამაზესი გოლი შეაგდო.

***ალესანდრო დიამანტი (ლივორნო)*** — კარიერაში სერია A-ში მხოლოდ 2 გოლი აქვს გატანილი და ორივე — ჩინებული. კაცმა, რომელიც წინა სეზონში სერია C-ში თამაშობდა, „კატანიას" 25 მეტრიდან დიდებულად დაურტყა. საბრალო ჩირო პოლიტ[illegible] ტომის მერე ძელს შეეჯახა და კინალამ დაშავდა.

### რიცხვები

***31 და წერტილი:*** „ინტერს" სერია A-ში მიჯრით 31 მატჩი არ წაეგო. აქედან 23 შეხვედრა მოგებული ჰქონდა. ბოლოს „ნერაძურის" „რომამ" მოუგო 2007 წლის 18 აპრილის „სან სიროზე" — 3:1. გასვლაზე კი მილანელებს 2006 წლის 30 აპრილის მერე არ წაუგიათ. მაშინ „ინტერმა" „ემპოლისთან" 0:1 წააგო მატერაცის ავტოგოლით.

***ტურინის ტაბუ:*** „ფიორენტინას" სტუმრად „იუვენტუსისთვის" ბოლოს 1988 წლის 15 მაისს მოუგია რობერტო ბაჯოსა და ალბერტო დი კიარას გოლებით — 2:1. ამას 14 მარცხი და 4 ფრე მოჰყვა. საერთოდ კი, „იებს" „ბიანკონერისთვის" 1998 წლის 13 დეკემბრის მერე არ მოუგიათ. მაშინ მატჩის ერთადერთი გოლი გაბრიელ ომარ ბატისტუტამ შეაგდო.

***პატოს დღეობა:*** საინტერესოა, რომ ბოლოს „ლაციომ" „მილანს" სტუმრად 1989 წლის 3 სექტემბერს მოუგო, ანუ ალექსანდრე პატოს დაბადების მეორე დღეს. სხვათა შორის, პატოსა და ალბერტო პალოსკის ასაკი რომ შევაჯამოთ, ბევრად ნაკლები გამოვა, ვიდრე შაბათის მატჩში მათი მეტოქის, 43 წლის მეკარის, მარკო ბალოტასი.

**გიორგი ქაქაბაძე**



# ირანმა მიაგნო
## ალი დაეიმ გეგმა დაწერა

**ირანის** ფეხბურთის ასოციაციამ ერთთვიანი დავიდარაბის შემდეგ ნაკრების მწვრთნელად ალი დაეი დანიშნა. მიუნხენის „ბაიერნისა" და ბერლინის „ჰერტას" ყოფილი ფორვარდი ნაკრებში გატანილი გოლებით მსოფლიოს რეკორდსმენია.

მისი კანდიდატურა თავიდან არ განიხილებოდა, რადგან ირანელები ხავიერ კლემენტეს მოურიგდნენ, რომელმაც მოგვიანებით თეირანში ცხოვრება იუარა და კონტრაქტი გაწყვიტა. მერე იყო ამერიკაში მცხოვრები აფშინ ქოთბის ვარიანტი, თუმც ფედერაცია ალი დაეიზე შეჩერდა.

„ჩვენ დაეის სამომავლო გეგმა ვნახეთ და მის დანიშვნას დავთანხმდით — თქვა ასოციაციის თავმა ალი კაფაშიანმა — რამდენიმე დღის განმავლობაში მოლაპარაკება მიმდინარეობდა და პროგრამა მოგვეწონა".

ირანის ნაკრებში ალი დაეის საქმე გამოულევად ექნება. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში ირანი გაცილებით სუსტ სირიას დაუზავდა და მომდევნო შეხვედრა 26 მარტს სტუმრად ქუვეითთან ელის. დაეი ნაკრებამდე თეირანის „საიფაში" მოთამაშე-მწვრთნელი იყო და კლუბი ჩემპიონი გახადა. ირანის ეროვნულ გუნდში მას 148 მატჩი უთამაშია და 109 გოლი გაუტანია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინტერს ნეაპოლში მოუმნიფდა

**რობერტო მანჩინის** „ინტერი" ბოლო პერიოდში არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება და თითქოს, „ნერაძურის" მარცხიც მწიფდებოდა. საბოლოოდ, მოსახდენი მოხდა — მილანელებს „სტადიო სან პაოლოზე" ფეხი დაუცდათ და სერია A-ში 31-მატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყდათ.

„ახლა კარგი პერიოდი ნამდვილად არ გვიდგას. ეს, პირველ რიგში, იმის ბრალია, რომ ძალიან ბევრი ფეხბურთელი გვყავს ტრავმირებული, თან სწორედ იმ მომენტში, როცა ძალიან დატვირთული კალენდარი გვაქვს. „რომასთან" ექვსქულიან უპირატესობას ვინარჩუნებთ, რაც ცოტა არ არის. ამ მარცხმა თვითრწმენა და ოპტიმიზმი არ უნდა დაგვაკარგვინოს. ფეხბურთია, ზოგჯერ ცუდად ითამაშებ და წააგებ კიდეც. ბევრი შეცდომა დავუშვით, რითაც „ნაპოლიმ" მშვენივრად ისარგებლა და დამსახურებულად იმარჯვა. ჟულიო სეზარი მთლიანობაში ბრწყინვალედ გაისარჯა და პენალტიც აილო, მაგრამ მის იმ ერთ შეცდომას გოლი მოჰყვა. შემდეგ კი შეტევაში სათანადოდ ვერ ვითამაშეთ, რომ რამე შეგვეცვალა. ისიც უნდა ვთქვა, რომ მსაჯობით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ამაზე ალბათ არავინ ილაპარაკებს. ბევრს ხომ ჰგონია, რომ არბიტრები მხოლოდ ჩვენ გვეხმარებიან..." — განაცხადა მანჩინიმ.

„ინტერის" მეკარე ჟულიო სეზარი: „ვიცოდი, ბურთი ჩემსკენ სწრაფად და ძლიერად მოდიოდა, ამიტომ სამ რამეზე ვფიქრობდი — დამეჭირა, კრისტიან კივუსთვის დამეგდო ან შორს მომეგერიებინა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მარსელო ზალაიეტას გავატანინე და ვაღიარებ, რომ ჩემი ბრალი იყო. რაც შეეხება პენალტს, ტყუილად დაგვინიშნეს და, საბედნიეროდ, მოვიგერიე. მერე თანაგუნდელებს ვთხოვე, ეს მატჩი ჩემთვის მოიგეთ-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. „ნაპოლიმ" კარგად ითამაშა, ეს მეც მშვენივრად ვიგრძენი, არც კი მახსოვს, რამდენი ბურთი მოვიგერიე. ასეა თუ ისე, სკუდეტოსთვის ბრძოლა გრძელდება, „რომასთან" კიდევ საგრძნობი უპირატესობა გვაქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ".

„სიმართლე გითხრათ, იმდენი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, რომ ბოლოს მეშინოდა კიდეც, არ დავისაჯოთ-მეთქი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. „ინტერი" ნახევარდაცვაშიც შევბოჭეთ და არც ფლანგებზე მივეცით გასაქანი. მთლიანობაში ბრწყინვალედ გავისარჯეთ და ბევრად დიდი სხვაობით მოგებას ვიმსახურებდით, მაგრამ არა უშავს. რთული პერიოდი უკან მოვიტოვეთ, ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების მერე პირველად შევძელი ძირითადი შემადგენლობის დაყენება და შედეგიც სახეზეა. მსურს, დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენს ბრწყინვალე ფანებს მხურვალე ქომაგობისთვის, მათ ეს სიხარული დაიმსახურეს" — აღნიშნა „ნაპოლის" მწვრთნელმა ედი რეხამ.

**გიორგი ქაქაბაძე**



რობერტო მანჩინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 50 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 65 | ლესტერი-პრესტონი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:45 | 66 | პლიმუთი-კოლჩესტერი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 23:45 | 67 | ქუინსდი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 23:45 | 68 | უოტფორდი-ნორვიჩი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 23:45 | 69 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტონი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 23:45 | 70 | ბლეკპული-ბარნსლი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 23:45 | 71 | ჩარლტონი-ბრისტოლი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 23:45 | 73 | კრ. პალასი-კარდიფი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 23:45 | 74 | ჰალი-ბარნლი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 23:45 | 75 | იფსვიჩი-შეფილდი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 72 | ქოვენთრი-ქპრ | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 88 | სუინდონი-ჰადერსფილდი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 23:45 | 89 | ოლდემი-ჰარტლპული | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 23:45 | 90 | ბრაიტონი-ჯილინგემი | 1.75 | 3.30 | 4.65 | 1.14 | 1.27 | 1.93 |
| 23:45 | 91 | როვერსი-დონკასტერი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 118 | ჰისტონი-სტივენეიჯი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 23:45 | 119 | ვეიმუთი-ფორესტ გრინი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 23:45 | 120 | ფარსლი-რაშდენი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 23:45 | 121 | დროილსდენი-ნორთვიჩი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 23:45 | 122 | იორკი-ბარტონი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 23:45 | 123 | ოქსფორდი-კემბრიჯი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 23:45 | 124 | კიდერმინსტერი-სტეფორდი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 23:45 | 125 | ებსფლითი-სალისბერი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 126 | ალტრინჰემი-ჰალიფაქსი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 23:45 | 127 | ქროული-ექსეტერი | 2.70 | 3.30 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 17 | პარტიკი-ლივინგსტონი | 2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 18 | როსი-კოუდენბითი | 1.30 | 4.40 | 7.30 | 1.00 | 1.10 | 2.74 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 19 | ისტ სტირლინგი-სტრანრარი | 4.10 | 3.70 | 1.65 | 1.94 | 1.17 | 1.14 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 20 | აუსტრია-ლინცერი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 22:00 | 21 | ზალცბურგი-ტიროლი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 18:45 | 33 | აეკ-ქსანთი | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 21:00 | 34 | ატრომიტოსი-პანათინაიკოსი | 6.20 | 3.50 | 1.50 | 2.23 | 1.20 | 1.04 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 1 | ბარსელონა-სელტიკი | 1.25 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.52 |
| 23:45 | 2 | ბარსელონა-სელტიკი 0:1 | 1.70 | 3.70 | 3.70 | | | |
| 23:45 | 3 | მანჩესტერი-ლიონი | 1.40 | 4.00 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| 23:45 | 4 | მანჩესტერი-ლიონი 0:1 | 1.95 | 3.50 | 2.80 | | | |
| 23:45 | 8 | მილანი-არსენალი | 2.00 | 3.10 | 3.80 | 1.21 | 1.31 | 1.70 |
| 23:45 | 11 | სევილია-ფენერბაჰჩე | 1.40 | 3.90 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 5 | პორტუ-შალკე | 1.75 | 3.30 | 4.80 | 1.14 | 1.28 | 1.95 |
| 23:45 | 7 | რეალი-რომა | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 23:45 | 9 | ჩელსი-ოლიმპიაკოსი | 1.35 | 4.20 | 9.50 | 1.02 | 1.18 | 2.91 |
| 23:45 | 10 | ჩელსი-ოლიმპიაკოსი 0:1 | 1.70 | 3.70 | 3.45 | | | |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 6 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 25 | ანდერლეხტი-ბაიერნი | 4.80 | 3.40 | 1.70 | 1.99 | 1.25 | 1.13 |
| 23:45 | 26 | მარსელი-ზენიტი | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 23:45 | 27 | ფიორენტინა-ევერტონი | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 23:45 | 28 | ბოლტონი-სპორტინგი | 2.45 | 2.90 | 2.95 | 1.32 | 1.33 | 1.46 |
| 23:45 | 29 | რეინჯერსი-ვერდერი | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 23:45 | 30 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 23:45 | 31 | ტოტენჰემი-პსვ | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 23:45 | 32 | ბენფიკა-ხეტაფე | 2.20 | 3.00 | 3.20 | 1.26 | 1.30 | 1.54 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 553 | მოდო-ფრიოლუნდა | 1.80 | 4.10 | 2.90 | 1.25 | 1.11 | 1.69 |
| 21:00 | 554 | ფერიესტადი-ტიმრე | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |
| 21:00 | 555 | ბრიუნესი-მორა | 2.00 | 4.10 | 2.55 | 1.34 | 1.12 | 1.57 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 20:30 | 568 | ესპოო-ტაპარა | 1.95 | 4.10 | 2.55 | 1.32 | 1.10 | 1.57 |
| 20:30 | 569 | ჰელსინკი-ტურკუ | 1.70 | 4.20 | 3.10 | 1.21 | 1.09 | 1.78 |
| 20:30 | 570 | ილვესი-ლუკო | 1.80 | 4.10 | 2.90 | 1.25 | 1.11 | 1.69 |
| 20:30 | 571 | კალპა-სეიპა | 2.10 | 4.10 | 2.35 | 1.38 | 1.10 | 1.49 |
| 20:30 | 572 | კერპეტი-იოკერიტი | 1.90 | 4.10 | 2.65 | 1.29 | 1.10 | 1.60 |
| 20:30 | 573 | პელიკანსი-იუვესკიულე | 1.90 | 4.20 | 2.60 | 1.30 | 1.09 | 1.60 |
| 20:30 | 574 | ესეტი-ჰაამეენლინა | 2.15 | 4.10 | 2.35 | 1.41 | 1.12 | 1.49 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 733 | ავანგარდი-დინამო | 1.40 | 4.00 | 4.10 | 1.03 | 1.04 | 2.02 |
| 18:00 | 734 | მაგნიტოგორსკი-ნეფტეხიმიკი | 1.20 | 4.20 | 6.60 | 1.00 | 1.01 | 2.56 |
| 18:00 | 735 | ს.იულაევი-ამური | 1.18 | 4.20 | 6.90 | 1.00 | 1.00 | 2.61 |
| 20:00 | 736 | აკ ბარსი-მვდ | 1.20 | 4.10 | 6.60 | 1.00 | 1.01 | 2.52 |
| 20:00 | 737 | ლოკომოტივი-ლადა | 1.30 | 4.00 | 5.20 | 1.00 | 1.03 | 2.26 |
| 20:00 | 738 | ასკ-სპარტაკი მ | 1.45 | 4.00 | 3.50 | 1.06 | 1.02 | 1.86 |
| 20:00 | 739 | ხიმიკი-სევერსტალი | 1.30 | 4.00 | 4.70 | 1.00 | 1.01 | 2.16 |
| 20:00 | 740 | ცსკა-ტრაქტორი | 1.30 | 4.00 | 4.70 | 1.00 | 1.01 | 2.16 |
| | | ჩოგბურთი.კაცები. დუბაი | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 14:00 | 708 | ბერდიხი-მონფილსი | 1.25 | 3.20 | | | | |
| 14:00 | 709 | ჯოკოვიჩი-ჩილიჩი | 1.10 | 4.50 | | | | |
| 14:00 | 710 | ნადალი-კოლშრაიბერი | 1.20 | 3.30 | | | | |
| 14:00 | 711 | ი ნიემინენი-ო როხუსი | 1.40 | 2.50 | | | | |
| 14:00 | 712 | როდიკი-ფერერო | 1.25 | 3.30 | | | | |
| 14:00 | 713 | ტიპსარევიჩი-ფ ლოპესი | 1.60 | 2.00 | | | | |
| | | ჩოგბურთი.ქალები. ბანგალორი | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 08:30 | 729 | პენგი-კრემერი | 1.20 | 3.50 | | | | |
| 12:00 | 730 | კირილენკო-იან ზი | 1.15 | 3.80 | | | | |
| 12:00 | 731 | სავჩუკი-ო ბრაიანი | 1.60 | 2.00 | | | | |
| 12:00 | 732 | ჩან იუ ჯი-მამიჩი | 1.10 | 5.20 | | | | |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ბარსელონა-სელტიკი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10003 | მანჩესტერი-ლიონი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10005 | პორტუ-შალკე | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10007 | რეალი-რომა | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10008 | მილანი-არსენალი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10009 | ჩელსი-ოლიმპიაკოსი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10011 | სევილია-ფენერბაჰჩე | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10050 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10065 | ლესტერი-პრესტონი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10066 | პლიმუთი-კოლჩესტერი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10067 | უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10068 | უოტფორდი-ნორვიჩი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10069 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტონი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10070 | ბლეკპული-ბარნსლი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10071 | ჩარლტონი-ბრისტოლი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10072 | ქოვენტრი-ქპრ | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10073 | კრისტალ პალასი-კარდიფი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10074 | ჰალი-ბარნლი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10075 | იფსვიჩი-შეფილდი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ბარსელონა-სელტიკი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11003 | მანჩესტერი-ლიონი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11005 | პორტუ-შალკე | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11007 | რეალი-რომა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11008 | მილანი-არსენალი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11009 | ჩელსი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11011 | სევილია-ფენერბაჰჩე | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11050 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11065 | ლესტერი-პრესტონი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11066 | პლიმუთი-კოლჩესტერი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11067 | უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11068 | უოტფორდი-ნორვიჩი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11069 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტონი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11070 | ბლეკპული-ბარნსლი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11071 | ჩარლტონი-ბრისტოლი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11072 | ქოვენტრი-ქპრ | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11073 | კრისტალ პალასი-კარდიფი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11074 | ჰალი-ბარნლი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11075 | იფსვიჩი-შეფილდი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ბარსელონა-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 12003 | მანჩესტერი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | პორტუ-შალკე | 1.50 | 2.10 |
| 12007 | რეალი-რომა | 1.90 | 1.70 |
| 12008 | მილანი-არსენალი | 1.50 | 2.10 |
| 12009 | ჩელსი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | სევილია-ფენერბაჰჩე | 1.90 | 1.70 |
| 12050 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12065 | ლესტერი-პრესტონი | 1.60 | 2.00 |
| 12066 | პლიმუთი-კოლჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12067 | უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | 1.90 | 1.70 |
| 12068 | უოტფორდი-ნორვიჩი | 1.80 | 1.80 |
| 12069 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტონი | 1.70 | 1.90 |
| 12070 | ბლეკპული-ბარნსლი | 1.70 | 1.90 |
| 12071 | ჩარლტონი-ბრისტოლი | 1.70 | 1.90 |
| 12072 | ქოვენტრი-ქპრ | 1.60 | 2.00 |
| 12073 | კრისტალ პალასი-კარდიფი | 1.60 | 2.00 |
| 12074 | ჰალი-ბარნლი | 1.70 | 1.90 |
| 12075 | იფსვიჩი-შეფილდი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ბარსელონა-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 13003 | მანჩესტერი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | პორტუ-შალკე | 1.80 | 1.80 |
| 13007 | რეალი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13008 | მილანი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ჩელსი-ოლიმპიაკოსი | 1.90 | 1.70 |
| 13011 | სევილია-ფენერბაჰჩე | 1.70 | 1.90 |
| 13050 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.80 | 1.80 |
| 13065 | ლესტერი-პრესტონი | 1.90 | 1.70 |
| 13066 | პლიმუთი-კოლჩესტერი | 1.80 | 1.80 |
| 13067 | უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13068 | უოტფორდი-ნორვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13069 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტონი | 1.80 | 1.80 |
| 13070 | ბლეკპული-ბარნსლი | 1.80 | 1.80 |
| 13071 | ჩარლტონი-ბრისტოლი | 1.80 | 1.80 |
| 13072 | ქოვენტრი-ქპრ | 1.80 | 1.80 |
| 13073 | კრისტალ პალასი-კარდიფი | 1.80 | 1.80 |
| 13074 | ჰალი-ბარნლი | 1.80 | 1.80 |
| 13075 | იფსვიჩი-შეფილდი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | მანჩესტერი-ლიონი | 1.20 | 2.60 |
| 14005 | პორტუ-შალკე | 1.45 | 2.40 |
| 14007 | რეალი-რომა | 1.30 | 2.50 |
| 14008 | მილანი-არსენალი | 1.70 | 2.20 |
| 14009 | ჩელსი-ოლიმპიაკოსი | 1.20 | 2.60 |
| 14011 | სევილია-ფენერბაჰჩე | 1.20 | 2.60 |
| 14050 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.30 | 2.50 |
| 14065 | ლესტერი-პრესტონი | 1.75 | 2.10 |
| 14066 | პლიმუთი-კოლჩესტერი | 1.45 | 2.40 |
| 14067 | უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | 2.00 | 1.80 |
| 14068 | უოტფორდი-ნორვიჩი | 1.45 | 2.40 |
| 14069 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტონი | 1.65 | 2.30 |
| 14070 | ბლეკპული-ბარნსლი | 1.65 | 2.30 |
| 14071 | ჩარლტონი-ბრისტოლი | 1.75 | 2.10 |
| 14072 | ქოვენტრი-ქპრ | 1.80 | 2.00 |
| 14073 | კრისტალ პალასი-კარდიფი | 1.70 | 2.20 |
| 14074 | ჰალი-ბარნლი | 1.75 | 2.10 |
| 14075 | იფსვიჩი-შეფილდი | 1.45 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | პორტუ-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | მილანი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15050 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | ლესტერი-პრესტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15066 | პლიმუთი-კოლჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15068 | უოტფორდი-ნორვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15069 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15070 | ბლეკპული-ბარნსლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | ჩარლტონი-ბრისტოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | ქოვენტრი-ქპრ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | კრისტალ პალასი-კარდიფი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | ჰალი-ბარნლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | იფსვიჩი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | მანჩესტერი-ლიონი | 1.11 | 5.70 |
| 16005 | პორტუ-შალკე | 1.25 | 3.40 |
| 16007 | რეალი-რომა | 1.17 | 4.10 |
| 16008 | მილანი-არსენალი | 1.40 | 2.55 |
| 16011 | სევილია-ფენერბაჰჩე | 1.11 | 5.70 |
| 16050 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.14 | 4.70 |
| 16065 | ლესტერი-პრესტონი | 1.52 | 2.20 |
| 16066 | პლიმუთი-კოლჩესტერი | 1.23 | 3.60 |
| 16067 | უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | 2.10 | 1.60 |
| 16068 | უოტფორდი-ნორვიჩი | 1.24 | 3.60 |
| 16069 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტონი | 1.32 | 3.00 |
| 16070 | ბლეკპული-ბარნსლი | 1.30 | 3.00 |
| 16071 | ჩარლტონი-ბრისტოლი | 1.45 | 2.45 |
| 16072 | ქოვენტრი-ქპრ | 1.62 | 2.05 |
| 16073 | კრისტალ პალასი-კარდიფი | 1.40 | 2.55 |
| 16074 | ჰალი-ბარნლი | 1.45 | 2.45 |
| 16075 | იფსვიჩი-შეფილდი | 1.25 | 3.40 |

### გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ბარსელონა-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | მანჩესტერი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | პორტუ-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17007 | რეალი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17008 | მილანი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ჩელსი-ოლიმპიაკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | სევილია-ფენერბაჰჩე | 1.85 | 1.95 |
| 17050 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17065 | ლესტერი-პრესტონი | 1.85 | 1.95 |
| 17066 | პლიმუთი-კოლჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17067 | უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17068 | უოტფორდი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17069 | ვულვერჰემპტონი-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | ბლეკპული-ბარნსლი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | ჩარლტონი-ბრისტოლი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | ქოვენტრი-ქპრ | 1.85 | 1.95 |
| 17073 | კრისტალ პალასი-კარდიფი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ჰალი-ბარნლი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | იფსვიჩი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



# კობიმ დალასი ადგილზე დასვა

**ლეიკერსი 108:104 დალასი**

ძირითადი დრო 93:93

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (52 ქულა, 11 მოხსნა), გასოლი (17 ქულა, 14 მოხსნა)
**დალასი:** ნოვიცკი (30 ქულა, 13 მოხსნა), ტერი (18), დამპიე (16 ქულა, 17 მოხსნა), კიდი (15 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა)

**ძნელი** გასარკვევია, დალასელებს კობი ბრაიანტის წინააღმდეგ თამაში უფრო ზაფრავთ, თუ მექსიკის ყურიდან დაძრული ქარიშხალი. 10-წლიან კარიერაში კობიმ იმდენჯერ დაანგრია ეს გუნდი, რომ სათვალავი თავადაც აერია. ერთხელ, სამ მეოთხედში 71 ქულა ჩაუგდო და მეოთხეში სკამზე ნებივრად მისვენებული მზაკვრული ღიმილით უცქეროდა. ამ სეზონში დალასში გასვლით მატჩში 40 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა...

წლეულს ბრაიანტს დამცხრალი აქვს ლიგის ბომბარდირად ზედიზედ მესამედ შედგომის ამბიცია და მაშინ, როდესაც ცხოვრებაში 50 და მეტქულიანი 21 თამაში აქვს ჩატარებული და მიმდინარე სეზონში ეს ზღვარი ერთხელაც არ დაეძლია, მაინცდამაინც „დალასთან“ გამოიდო თავი და 52 ქულა აძგერა. ცხადია, „ლეიკერსმა“ მოიგო.

„დალასის“ თავკაცი, ისედაც თაგვისხელა აივერი ჯონსონი ნამატჩევს მთლად მობუზულიყო და სევდიანი გამომეტყველებით იცქირებოდა არსაით. „თავიდან პერსონალური მცველი დავუნიშნეთ, მერე ორი კაცი ხელებზე მივაბით, სამიც მივუგზავნეთ, ... მაინც აგდებდა... ზონაც ვცადეთ, ვერაფერმა გაჭრა“ — ამბობდა ის და ბოლოს თავი აიძულა, ელიარებინა, რომ კობი ბრაიანტი დიადი მოთამაშეა.

სტუმართა თავზე ავისმომასწავლებელი ღრუბელი ბოლო მეოთხედში შეიყარა. მანამდე ბრაიანტი ნორმალურად თამაშობდა: არაფერი განსაკუთრებული, სამ მეოთხედში 22 ქულა გაეკეთებინა, მაგრამ „ლეიკერსი“ ვერ იგებდა. მასში დანთქმულმა იდუმალმა ძალამაც ვულკანივით ამოხეთქა. მეოთხე მეოთხედში კობიმ 22 ქულა მიითვალა. ის აგდებდა, აივერი ჯონსონი კი მოედნის პირას ხტოდა და კობისგან გამწარებულ შეგირდებს ნერვიულად ესროდა მითითებებს.

დალასელები თავისას ცდილობდნენ, არ ტყდებოდნენ. გუნდს მშვენივრად მორგებულმა ჯეისონ კიდმა შეშისფეხება ცენტრი ერიკ დამპიეც კი გააცოცხლა, დირკ ნოვიცკის კი შარშანდელი ქარიზმა დაუბრუნა. „დალასმა“ შეძლო და ძირითად დროში მარცხი აირიდა, როცა საფინალო სირენამდე 6 წამით ადრე ბრაიანტის წყვილ საჯარიმოს 4 წამში ნოვიცკიმ სამქულიანი შეაგება და 93:93 გაათანაბრა.

თამაში კი გადავიდა ოვერტაიმში, მაგრამ ტეხასელებმა ვერც იქ მიაგნეს ბრაიანტის წინააღმდეგ ქმედით საშუალებას და მისგან კიდევ 8 ქულა მიიღეს კალათში. და მაინც, იქაც ჰქონდათ თავის გადარჩენის შანსი — 11 წამი რჩებოდა 105:102 ანგარიშზე, კიდი „ლეიკერსის“ სამწამიანში რომ შეიჭრა, ბურთიც ჩააგდო და ჯარიმაც აიკიდა, მაგრამ... საჯარიმო სროლა ააცილა, ალბათ იმიტომ, რომ ის იმ საღამოს პირველად იდგა ხაზზე. კობისავით აგრესიული რომ ყოფილიყო შეტევაში და მანამდე, ასე ვთქვათ, წაევარჯიშა, ალბათ გადაარჩენდა თავის გუნდს (ბრაიანტმა 27 ცდიდან 20 გამოიყენა). ასე დაიკარგა ოქროს ფასი ქულა. „ლეიკერსმა“ დარჩენილ დროში 3 უპასუხო ქულა გააკეთა და ყველაფერი ასე დასრულდა.

კობი ბრაიანტს გუნდურ მოგებასთან, პირად რეკორდთან და ზღვატაშთან ერთად ერთგვარი მინი-პრიზიც ერგო. იმ თამაშში მოხვეჭილი ქულების შემატების შემდეგ მას კარიერაში 20 989 ქულა მოუგროვდა და გადაასწრო ნბა-ს ყველა დროის ბომბარდირთა სიაში 25-ე ადგილზე მყოფ უოლტ ბელამის.

**კოტე ყორშია**

2 მარტი

**ბოსტონი 98:88 ატლანტა**

**ბოსტონი:** რონდო (6), ალენი (17), პირსი (30), გარნეტი (20 ქულა, 16 მოხსნა), პერკინსი (11 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი, 4 დაფარება); დევისი (6), ჰაუსი (5), პოუზი (2), პოუი (1)
**ატლანტა:** ბიბი (14 ქულა, 9 პასი), ჯონსონი (9), უილიამსი (8), სმიტი (22), ჰორფორდი (14 ქულა, 11 მოხსნა); ჩილდრესი (12), სტუდემაიერი (6), ფაჩულია (16 წუთი, 3 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი), რიჩარდსონი, ვესტი, ჯონსი

**ჰიუსტონი 103:89 დენვერი**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (22), ბეტიე (20), სკოლა (18 ქულა, 15 მოხსნა), ალსტონი (16)
**დენვერი:** ბეტიე (19), აივერსონი (17)

**ნიუ ჯერსი 83:93 სან ანტონიო**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (21), ჰარისი (21), ჯეფერსონი (18)
**სან ანტონიო:** პარკერი (25 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), ჯინობილი (17), დანკანი (13 ქულა, 14 მოხსნა)

**ვაშინგტონი 101:84 ნიუ ორლეანი**

**ვაშინგტონი:** ჯემისონი (28), სტივენსონი (16)
**ნიუ ორლეანი:** სტოიაკოვიჩი (17)

**შარლოტი 110:98 ტორონტო**

**შარლოტი:** რიჩარდსონი (30), დადლი (17 ქულა, 10 მოხსნა), ფელტონი (17), კეროლი (15), ოკაფორი (14 ქულა, 15 მოხსნა)
**ტორონტო:** პარკერი (24), ნესტეროვიჩი (16)

**ინდიანა 128:106 მილუოკი**

**ინდიანა:** დანლივი (36), გრეინჯერი (27), დინერი (15)
**მილუოკი:** რედი (28), მეისონი (15), უილიამსი (15)

**საკრამენტო 120:109 მაიამი**

**საკრამენტო:** უდრიჰი (29), არტესტი (29), მარტინი (29)
**მაიამი:** ვეიდი (29), მერიონი (18), უილიამსი (18)



ტრეისი მაკგრეიდის „ჰიუსტონმა“ ზედიზედ მე-15 თამაში მოიგო

**კლივლენდი 95:86 ჩიკაგო**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (37), შჩერბიაკი (17)
**ჩიკაგო:** ჰიუზი (23), ტომასი (12)

**მინესოტა 108:111 სიეტლი**

ძირითადი დრო 102:102

**მინესოტა:** ჯეფერსონი (30 ქულა, 12 მოხსნა), მაკკანტსი (18), სმიტი (15)
**სიეტლი:** დურანტი (25), უილკოქსი (18 ქულა, 15 მოხსნა), უოლტონი (15)

**გ. სტეიტი 110:104 პორტლენდი**

**გოლდენ სტეიტი:** ელისი (22 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (18), ჯეკსონი (29)
**პორტლენდი:** როი (26), აუთლოო (17), ოლდრიჯი (15)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 46 | 12 | 79,3 |
| ტორონტო | 32 | 26 | 55,2 |
| ფილადელფია | 27 | 33 | 45,0 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 33 | 44,1 |
| ნიუ იორკი | 18 | 41 | 30,5 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 43 | 16 | 72,9 |
| კლივლენდი | 34 | 26 | 56,7 |
| ინდიანა | 24 | 36 | 40,0 |
| ჩიკაგო | 23 | 36 | 39,0 |
| მილუოკი | 22 | 38 | 36,7 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 38 | 23 | 62,3 |
| ვაშინგტონი | 29 | 30 | 49,2 |
| ატლანტა | 24 | 33 | 42,1 |
| შარლოტი | 20 | 39 | 33,9 |
| მაიამი | 11 | 46 | 19,3 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 41 | 17 | 70,7 |
| ნიუ ორლეანი | 39 | 19 | 67,2 |
| ჰიუსტონი | 39 | 20 | 66,1 |
| დალასი | 39 | 21 | 65,0 |
| მემფისი | 14 | 45 | 23,7 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 38 | 22 | 63,3 |
| დენვერი | 35 | 24 | 59,3 |
| პორტლენდი | 31 | 29 | 51,7 |
| სიეტლი | 16 | 43 | 27,1 |
| მინესოტა | 12 | 46 | 20,7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 42 | 18 | 70,0 |
| ფინიქსი | 39 | 20 | 66,1 |
| გოლდენ სტეიტი | 36 | 22 | 62,1 |
| საკრამენტო | 27 | 32 | 45,8 |
| კლიპერსი | 19 | 38 | 33,3 |

# საქართველოს ჩემპიონატი
## სუპერლიგა. XIX ტური

3 მარტი. სპორტის სასახლე

**ვითა 88:93 ავიამშენი**

*23:25 19:20 21:22 26:26*

**ვითა:** ძიძიგური (9), ნ. ნოზაძე (10), ბეჟანიშვილი, მ. ბერიშვილი (14 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), მარხვაშვილი (20), ლ ნოზაძე (5), ბერძენიშვილი (13), გვიმრაძე (17)
**ავიამშენი:** ხოშტარია (25), ნიკოლაძე (14), ტულუში (18 ქულა, 12 მოხსნა, 15 პასი), მინაშვილი (11), ნინიაშვილი (17), მათიაშვილი (8), როდუმტა
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**მაკაბი 88:91 თსუ**

*27:24 17:19 19:26 25:22*

**მაკაბი:** ი, ბერიშვილი (6), სორდია (6), პირველაშვილი (3), ს. შერმადინი (14), გ. შერმადინი (28 ქულა, 26 მოხსნა, 9 პასი, 4 დაფარება), კორკოტაძე (19), კოლუაშვილი (2), ჯიქია
**თსუ:** არწივაძე, ფანჩულიძე (7), დ. ბერიშვილი (9), ხეცურიანი (28), ტყეშელაშვილი (22), კოხრეიძე (9), ყველაშვილი (7), ხიზანიშვილი (8), ლოსაბერიძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, გურამ მიქელაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**დინამო 77:84 ენერჯი-ინვესტი**

*ძირითადი დრო: 70:70*

*11-14 15:25 25:12 19:19 7:14*

**დინამო:** გულისაბედაშვილი (9), ქლენტი (12), ლაფანაშვილი (11), სანიკიძე (25 ქულა, 15 მოხსნა, 7 დაფარება), ათანელაშვილი (5), სიგუა, მაისურაძე (4), ახალკაცი (11)
**ენერჯი:** გამყრელიძე (17), ბოისა (6), ტუჯანი (8), სტეფანოვი (23), ბაბიაშვილი (4), ლეჟავა (18), გოგობერიშვილი (2), ჭოჭუა (2), ჩიტაშვილი (4), დიდია
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვიული
კომისარი: როლანდ გელოვანი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 19 | 16 | 3 | 35 |
| თსუ | 19 | 12 | 7 | 31 |
| ავიამშენი | 19 | 10 | 9 | 29 |
| ვითა | 19 | 8 | 11 | 27 |
| დინამო | 19 | 7 | 12 | 26 |
| მაკაბი | 19 | 4 | 15 | 23 |



# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ორშაბათს** პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. რეიტინგები ახალი კია, მაგრამ მათში მოხსენიებულ ქართველებზე ახალს ვერაფერს გეტყვით — ჩვენებურები, ფაქტობრივად, ისევ იქ არიან, სადაც ერთი კვირის წინ იყვნენ — ერთი-ორი ნაბიჯი წინ, ერთი-ორი ნაბიჯი უკან, ამ ეტაპზე ასეა ქართველ ჩოგბურთელთა საქმე.

| კაცები | |
|---|---|
| 369 (+1) ლადო ჩიხლაძე | 87 |
| 1221 (-1) ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1495 (-3) გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1495 (-3) გიორგი ჭანტურია | 1 |

| ქალები | |
|---|---|
| 199 (+1) მაკა ჩახნაშვილი | 144 |
| 289 (-1) ანა ტატიშვილი | 82 |
| 409 (0) სოფო შაფათავა | 46 |
| 502 (0) თინა ყავლაშვილი | 31 |
| 585 (+1) სალომე დევიძე | 22 |
| 599 (-1) მანანა შაფაქიძე | 21 |
| 647 (-5) ოქსანა კალაშნიკოვა | 18 |
| 708 (0) სოფო ქვაცაბაია | 15 |
| 809 (-3) ეკა გორგოძე | 10 |
| 873 (-1) სოფო მელიქიშვილი | 8 |

# შაფათავამ სეზონი მინსკში გახსნა

**საქართველოს** მესამე ჩოგანი სოფო შაფათავა წლეულს პირველად გამოჩნდა კორტზე. ბელარუსის დედაქალაქ მინსკის ჭერქვეშა ხალიჩაზე ITF-ის ეგიდით 25-ათასიანი ტურნირი ტარდება და სოფო კვალიფიკაციიდან ცდილობს ძირითად ბადეში მოხვედრას.

პირველ წრეში შაფათავამ 6:4 6:4 მოუგო 17 წლისა და რეიტინგის 968-ე საფეხურზე მყოფ რუს ეკატერინა კომაროვას და კიდევ ერთ რუსზე, კლასიფიკაციის 923-ე ნომერ მარგარიტა ედინაროვაზე გავიდა.

ამ კვირაში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე ტურნირებზე კიდევ ერთი ჩვენებური თამაშობს. სოფო ქვაცაბაია კვლავაც ესპანეთშია და ამჯერად საბადელის თიხნარზე, 10-ათასიან შეჯიბრში მონაწილეობს. შაფათავას დარად, ქვაცაბაიაც კვალიფიკანტთა შორისაა. პირველ წრეში მან 7:5 7:6 სძლია 19 წლის ბულგარელ დესისლავა მლადენოვას, ვისაც WTA-ს რეიტინგში 1051-ე პოზიცია უკავია. მეორე წრეში ქართველის მეტოქე ურეიტინგო მასპინძელი ლუსია საინს-პელეგრი იქნება.

წინასწარი ინფორმაციით, ამ კვირაში საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელ ქალს, მაკა ჩახნაშვილსაც უნდა ეთამაშა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლას ვეგასის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით 50-ათასიანი ტურნირი ტარდება და ჩახნაშვილი საკვალიფიკაციო ეტაპის მონაწილეთა შორის ირიცხებოდა, მაგრამ კვალიფიკანტებმა პირველი წრე უკვე ითამაშეს და მათ შორის ჩვენებური არ ყოფილა.

# კაცები

| განთესვის რეიტინგი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6330 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5930 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 5010 |
| 4. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2695 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2640 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2140 |
| 7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2050 |
| 8. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1885 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1710 |
| 10. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1685 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1625 |
| 12. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1515 |
| 13. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1515 |
| 14. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) | 1495 |
| 15. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1490 |
| 16. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1464 |
| 17. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1455 |
| 18. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1450 |
| 19. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 1445 |
| 20. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1418 |

| საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 203 |
| 2. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 155 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 119 |
| 4. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) | 107 |
| 5. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 97 |
| 6. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 95 |
| 7. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 91 |
| 8. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 90 |
| 9. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 87 |
| 10. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 85 |
| 11. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 82 |
| 12. ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) | 77 |
| 13. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 74 |
| 14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 63 |
| 15-16. ენდი როდიკი (აშშ) | 62 |
| 15-16. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი) | 62 |
| 17. ხუან მონაკო (არგენტინა) | 59 |
| 18-19. ხოსე აკასუსო (არგენტინა) | 58 |
| 18-19. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 58 |
| 20-21. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 57 |
| 20-21. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 57 |

# ქალები

| განთესვის რეიტინგი | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 6330 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3896 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3750 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3685 |
| 5. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3526 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2875 |
| 7. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2646 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2617 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2198 |
| 10. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2180 |
| 11. სერენა უილიამსი (აშშ) | 2022 |
| 12. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1721 |
| 13. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1693 |
| 14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1672 |
| 15. დინარა საფინა (რუსეთი) | 1627 |
| 16. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1569 |
| 17. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1475 |
| 18. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1455 |
| 19. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 1442 |
| 20. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1371 |

| საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1465 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 965 |
| 3. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 875 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 775 |
| 5. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 725 |
| 6. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 591 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 566 |
| 8. ნა ლი (ჩინეთი) | 565 |
| 9. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 560 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 443 |
| 11. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 437 |
| 12. ფლავია პენეტა (იტალია) | 411 |
| 13. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 340 |
| 14. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 321 |
| 15, შაჰარ პირი (ისრაელი) | 320 |
| 16. ვინუს უილიამსი (აშშ) | 316 |
| 17. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 315 |
| 18. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 310 |
| 19. კაროლინ ვოზნიაკი (დანია) | 290 |
| 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 281 |

რაგბი

# ჯვაროსნებმა ქარიშხალი გაანულ-გაანელეს

**კეიპტაუნში** მოგებით „კრუზეიდერზმა" კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის საჩემპიონო ამბიციებს. ახელზელანდიელებმა უკვე მესამე ეფექტური გამარჯვება იზეიმეს. „შტორმერზმა" მომხვდურებს წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია. მასპინძლებს თავიდან თითქოს არა უშავდათ, მაგრამ მალე ყველა მიხვდა, რომ სამხრეთაფრიკელებს „სიკვდილი" ელოდათ. პირველ ნახევარში ენდრიუ ელისის ლელოთი და დენ კარტერის ორი საჯარიმოთი 11:0 მოიგეს კუნძულელებმა. არც მეორე ტაიმში შეცვლილა სიტუაცია. მართალია, „კრუზეიდერზი" ხშირად ცდებოდა, რაც უპირატესად, ბურთის დაკარგვით გამოიხატებოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მათი გამარჯვება დამაჯერებელი და დამთრგუნველი გამოდგა მოწინააღმდეგისთვის.

ზეეფექტური გახლავთ კიდევ ერთი ახალზელანდიური გრანდის „ბლუზის" რაგბობაც, რომელმაც გასვლაზე გაანადგურა აუტსაიდერი „ჩიტაზი".

სამხრეთაფრიკელები ვერაფერს გახდნენ ისაია ტოეავას და ჯო როკოკოკოს წინააღმდეგ. როკოკოკომ სამი ლელო გაუტანა „ჰეპარდებს".

სამხრეთაფრიკულ დერბიში კი „ბულზმა" „შარქსთან" დათმო შეხვედრა. მოუხელთებელი და გამოუცნობი იყო „ზვიგენთა" ფრანგი გამთამაშებელი ფრედერიკ მიშალაკი. კაპიტანმა იოჰან მულერმაც კარგად გაართვა თავი შერკინების ორგანიზებას, რამაც საერთო ჯამში შარშანდელი ჩემპიონების მარცხი გამოიწვია.

**ზურაბ მიგრიაული**

## ზე-14 2008

**მესამე ტური**

ჰარიკანზი 39:19 ჩიფსი

ლაიონზი 16:18 ფორსი

შტორმერზი 0:22 კრუზეიდერზი

ჰაილენდერზი 12:15 ვარათაზი

ბრამბიზი 43:11 რედზი

ჩიტაზი 26:50 ბლუზი

ბულზი 15:29 შარქსი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბლუზი | 3 | 3 | 0 | 0 | +91 | 3 | 15 |
| კრუზეიდერზი | 3 | 3 | 0 | 0 | +88 | 2 | 14 |
| შარქზი | 3 | 3 | 0 | 0 | +23 | 1 | 13 |
| ვარათაზი | 3 | 2 | 0 | 1 | +17 | 1 | 9 |
| ჰარიკანზი | 3 | 2 | 0 | 1 | +8 | 1 | 9 |
| ბრამბიზი | 3 | 2 | 0 | 1 | +3 | 1 | 9 |
| ფორსი | 3 | 2 | 0 | 1 | -4 | 1 | 9 |
| რედზი | 3 | 1 | 0 | 2 | -31 | 1 | 5 |
| ლაიონზი | 3 | 1 | 0 | 2 | -46 | 1 | 5 |
| ჩიფსი | 3 | 1 | 0 | 2 | -33 | 0 | 4 |
| ბულზი | 3 | 1 | 0 | 2 | -42 | 0 | 4 |
| ჰაილენდერზი | 3 | 0 | 0 | 3 | -11 | 3 | 3 |
| ჩიტაზი | 3 | 0 | 0 | 3 | -26 | 3 | 3 |
| შტორმერზი | 3 | 0 | 0 | 3 | -31 | 2 | 2 |

მძლეოსნობა




# ბლანკას კიდევ უფრო მაღლა

**ბლანკა ვლასიჩი** სულ ზევით და ზევი მიიწევს. თანამედროვეობის უძლიერესმა სიმაღლეზე მხტომელმა ქალმა თავისი პირველობა ამ უქმეებზე გერმანულ ქალაქ ვეინჰეიმშიც დაამტკიცა, სადაც 2,05-მეტრიანი თამასა დაძლია და დარბაზებისთვის სეზონის საყოველთაო რეკორდს ერთი სანტიმეტრიც წაამატა. რაღა შორს წავიდეთ და, ძველიც მისი იყო რომელიც ორიოდ კვირის წინ სლოვაკურ ბანსკა ბისტრიცაში ჰქონდა დამყარებული.

24 წლის ხორვატისთვის 205 სანტიმეტრი კარიერის რეკორდის გამეორებაცაა და ყველაფერზე ეტყობა, რომ ის ამ სიმაღლეს კიდევ წაუმატებს. ვალენსიაში სულ მალე ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და იქნებ იქ უფრო გაშალოს ფრთებივით ტან-ხელ-ფეხი, მანამდე კი 205 სანტიმეტრით ის დარბაზებში ყველა დროის მეოთხე შედეგის პატრონად რჩება.

ვეინჰეიმში ვლასიჩი პრაქტიკულად უშეცდომოდ დახტოდა — დაიწყო 1,85 სიმაღლით, რაც პირველივე ცდაზე უიოლესად გადალახა და თითო ცდა დაახარჯა შემდეგ ნახტომებსაც, დაძლია 1,90, 1,94, 1,98, 2,02 და შეუტია 2,05 მეტრს. აქ მას პირველი ორი ცდა გაუცუდდა და მხოლოდ მესამეზე იხეირა. ამ დროს ვლასიჩს კუდში მიჰყვებოდა გერმანელი არიან ფრეიდრიხი და ალბათ ესეც მატებდა მოტივაციას. ფრეიდრიხი 2,02-ზე გაჩერდა.

2,05-ის აღების შემდეგ ყველა ელოდა, რომ ვლასიჩი მსოფლიოს დარბაზთა რეკორდს 2,08-ს დაემუქრებოდა, მაგრამ მან თავი შეიკავა და ასევე სოლიდური 2,07-იანი დაუკვეთა, თუმც აქ სამივე ცდა ჩაუვარდა.

ვლასიჩი ვლასიჩად და, ვეინჰეიმელებს მისთვის უკვე აღარ ეცალათ. 2,02-ის დამძლევ ფრეიდრიხს აპლოდირებდნენ და შესციცინებდნენ, ვინც ალინა ასტაფეის (1996) შემდეგ გერმანელ გოგონათა შორის პირველმა აიღო 2,02. ფრეიდრიხიც 24 წლისაა, ოღონდ, ვლასიჩისგან განსხვავებით, წლეულსღა გაერია ორმეტრიანთა ელიტკლუბში, მას შემდეგ, რაც აიღო 2,00 სიმაღლე, ახლა კი პირადი რეკორდი დაამყარა. ვალენსიაში რას აპირებო, რომ ჰკითხეს, მან კრძალვით მიუგო — კარგი იქნება, თუ 1,95-ს ავიღებ და ფინალში გავალო.

სხვაფრივ, ქალთა პარალელურად ამ ტურნირზე კაცებმაც იხტუნავეს. მათ შორის ყურს სჭრიდა შტეფან ჰოლმის სახელი და თუმცა შეჯიბრება მოიგო, 2,33 მეტრი მის პრესტიჟს დიდად მაინც ვერ აამაღლებს.

**კოტე ყორშია**

სათხილამურო ორჭიდი

# აკერმანმა ძველი გაიხსენა



**გერმანელმა** რონი აკერმანმა ფინელი ჰანუ მანინენის ოთხწლიანი მეფობა დაამხო და მსოფლიოს თასის გამარჯვებულის სარგო დიდი ბროლის გლობუსი დაისაკუთრა.

ჩრდილოეთის კომბინაციად წოდებული სათხილამურო ორჭიდის წლევანდელი მსოფლიოს თასის პროგრამაში ორი ეტაპი კიდევაა დარჩენილი, მაგრამ აკერმანი გენერალურ კლასიფიკაციაში უახლოეს მდევარს, ამერიკელ ბილ დემონგს, უკვე 237 ქულით უსწრებს და ამ სხვაობის გაბათილება დარჩენილ ეტაპებზე შეუძლებელია.

სიმბოლურია, რომ აკერმანმა პირველობა მანინენის სამშობლოში, ლაჰტიში გაიფორმა, სადაც გასულ უქმეებზე ორი შეჯიბრი (გამოდევნება და სპრინტი) უნდა გამართულიყო, მაგრამ გამოდევნების შემდეგ ძლიერი ქარი ამოვარდა, ტრამპლინიდან ხტომა შეუძლებელი გახდა და რადგანაც დარჩენილი სამიდან ერთი ეტაპი გაუქმდა, აკერმანმაც დიდი ბროლის გლობუსი ჩაიხუტა.

აკერმანისთვის ეს მესამე მსოფლიოს თასია. ის 2002-03 წლებშიც საუკეთესო იყო და შემდეგ კი მანინენის ეპოქა დაიწყო. წლეულს ფინელი რაღაც ვერ იყო ძველებურ იმტაზე და რონიმაც მშვენივრად ისარგებლა ამით, შუა სეზონში რომ ჩაუდგა საერთო ჩათვლას სათავეში, ახლოსაც აღარავინ გაიკარა.

უშუალოდ ლაჰტიში გამართული შეჯიბრი კი ნორვეგიელმა პეტერ ტანდემ მოიგო, რომელმაც ბოლო მეტრებზე აჯობა გერმანელ ერიკ ფრენცელს. აკერმანი მესამე იყო, ხოლო მანინენმა მისთვის ამ ჩავარდნილ სეზონში ერთი პატარა გმირობა მაინც ჩაიდინა და ტრამპლინზე 30-ე შედეგის მქონემ, საბოლოო ჯამში მეოთხემ უწია ფინიშს.

ლაჰტის ქარებმა არა მარტო ორჭიდელებს, უშუალოდ ტრამპლინიდან მხტომელებსაც აურია დავთრები — გასულ უქმეებზე იქ მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპი უნდა გამართულიყო, მაგრამ უამინდობის გამო სპორტსმენები საერთოდ ვერ გაეკარნენ ლაჰტის ლეგენდარულ ტრამპლინებს.

| მსოფლიოს თასი. ლაჰტი. ფინეთი. 29 თებერვალი-2 მარტი | |
|---|---|
| **გამოდევნება (ორი ნახტომი HS 130 ტრამპლინიდან + 15 კმ)** | |
| 1. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | 37 წთ 11,9 წმ (მე-5 ადგილი ტრამპლინზე) |
| 2. ერიკ ფრენცელი (გერმანია) | +7,1 წმ (2) |
| 3. რონი აკერმანი (გერმანია) | +29,9 (8) |
| 4. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | +44,6 (30) |
| 5. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) | +45,5 (25) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. რონი აკერმანი (გერმანია) | 1100 ქულა |
| 2. ბილ დემონგი (აშშ) | 863 |
| 3. პეტერ ტანდე (ნორვეგია) | 833 |
| 4. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | 754 |
| 5. ბერნარდ გრუბერი (ავსტრია) | 734 |

## მსოფლიოს თასის ყველა მფლობელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1984 | ტომ სანდბერგი (ნორვეგია) | 1997 | სამპა ლაიუნენი (ფინეთი) |
| 1985 | გეირ ანდერსენი (ნორვეგია) | 1998 | ბიარტე ენგენ ვიკი (ნორვეგია) |
| 1986 | ჰერმან ვაინბუხი (გერმანია) | 1999 | ბიარტე ენგენ ვიკი (ნორვეგია) |
| 1987 | ტორ ბიორნ ლოკენი (ნორვეგია) | 2000 | სამპა ლაიუნენი (ფინეთი) |
| 1988 | კლაუს ზულცენბახერი (ავსტრია) | 2001 | ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) |
| 1989 | ტრონდ არნე ბრედესენი (ნორვეგია) | 2002 | რონი აკერმანი (გერმანია) |
| 1990 | კლაუს ზულცენბახერი (ავსტრია) | 2003 | რონი აკერმანი (გერმანია) |
| 1991 | ფრედ ბიორე ლუნდბერგი (ნორვეგია) | 2004 | ჰანუ მანინენი (ფინეთი) |
| 1992 | ფაბრის გუი (საფრანგეთი) | 2005 | ჰანუ მანინენი (ფინეთი) |
| 1993 | კენჯი ოგივარა (იაპონია) | 2006 | ჰანუ მანინენი (ფინეთი) |
| 1994 | კენჯი ოგივარა (იაპონია) | 2007 | ჰანუ მანინენი (ფინეთი) |
| 1995 | კენჯი ოგივარა (იაპონია) | 2008 | რონი აკერმანი (გერმანია) |
| 1996 | კნუტ ტორე აპელანდი (ნორვეგია) | | |

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

2 მარტი

**რეინჯერსი 5:4 ფილადელფია**
*3:3 1:0 0:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*
0:1 პროსპალი (2), 1:1 სტრაკა (5), 1:2 კობერნი (9), 2:2 შოსტრომი (12), 3:2 კალაჰენი (14), 3:3 კარტერი (16), 4:3 ბეკმენი (22), 4:4 კარტერი (52)

**ჩიკაგო 4:1 ვანკუვერი**
*1:0 1:1 2:0*
1:0 ლედი (18), 2:0 კეინი (25), 2:1 კესლერი (39), 3:1 შარპი (46), 4:1 კეინი (50)

**პიტსბურგი 3:2 ატლანტა**
*2:1 0:0 0:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*
1:0 მელოუნი (1), 2:0 ტელბოტი (3), 2:1 სლაიტერი (15), 2:2 კოზლოვი (42)

**აილენდერსი 0:1 ფლორიდა**
*0:1 0:0 0:0*
0:1 ბუტი (10)

**ბუფალო 2:4 დეტროიტი**
*1:1 0:2 1:1*
1:0 კალეტა (3), 1:1 დრეიკი (12), 1:2 ფილპულა (26), 1:3 ფრენცენი (35), 2:3 პომინვილი (44), 2:4 მოლტბი(56)

**მინესოტა 2:1 ლოს ანჯელესი**
*0:1 1:0 0:0 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 კამალერი (18), 1:1 გაბორიკი (25), 2:1 სკულა (64)

**ედმონტონი 4:3 კოლუმბუსი**
*1:1 0:0 2:2 0:0 (1:0 ბულიტებით)*
0:1 ნეში (17), 1:1 კოლიანო (18), 1:2 ჩიმერა (51), 2:2 ჰემსკი (52), 2:3 სტეიოში (53), 3:3 ტერნსტრომი (58)

მთის თხილამურობა





ვერნერ ჰილმა და გეორგ შტრაიტბერგერმა პირველი საკარიერო გამარჯვებები მოიპოვეს

# ბოდე და უცნობები

**ბოდე მილერმა**, ფაქტობრივად გაინაღდა 2007-08 წლების სეზონის მსოფლიოს თასის გამარჯვებულის წოდება და მცირეოდენი ფორმალობის შემდეგ, ამერიკელი, ალბათ, დაიბრუნებს გამარჯვებულის სარგო დიდ ბროლის გლობუსს, რომელსაც 2005 წელს ფლობდა.

გასულ უქმეებზე ნორვეგიულ კვიტფიულში სამი ჩქაროსნული შეჯიბრი ჩატარდა — ერთბაშად ორი სწრაფდაშვება და სუპერგიგანტი და მილერი სამივე შემთხვევაში პოდიუმზე იდგა — ერთხელ პირველი იყო და ორჯერ — მეორე. ეს იმ დროს, როდესაც მისი უმთავრესი კონკურენტი, უფრო ტექნიკური დისციპლინების მოყვარული ავსტრიელი ბენჯამინ რაიხი, ორივე სწრაფდაშვებაში, საერთოდ უქულოდ დარჩა, ხოლო სუპერგიგანტში ოდენ მე-16 იყო. შედეგად, მილერი რაიხს, უკვე თითქმის სამასი ქულით უსწრებს და თანაც, ავსტრიელს შვეიცარიელმა დიდიე კუშემაც გადაასწრო, რომელმაც ნორვეგიაში, შესაბამისად, მეექვსე, მეორე და მესამე შედეგები აჩვენა.

ახლა საერთო ჩათვლის ლიდერებს თავი დავანებოთ და ვერნერ ჰილისა და გეორგ შტრაიტბერგერისა ვთქვათ. ესენი რომ არა, მილერი კვიტფიულში, სულაც ჰეთ თრიქს შეასრულებდა, მაგრამ ამ უცნობმა ხალხმა სხვანაირად ინება. იტალიელმა ჰილმაც და ავსტრიელმა შტრაიტბერგერმაც კარიერაში პირველად იმარჯვეს მსოფლიოს თასის ეტაპებზე. თანაც, ჰილი ერთჯერადი წარმატებით არ დაკმაყოფილდა და პირველი სწრაფდაშვების მოგების შემდეგ, მეორეში მესამე იყო.

პარალელურად, გასულ უქმეებზე გერმანულ არბერში ქალთა გიგანტური სლალომი და სლალომიც უნდა გამართულიყო, მაგრამ ძლიერი ქარისა და წვიმის გამო ეს ეტაპი ჩაიშალა და რადგანაც სეზონის ბოლომდე კალენდარში თავისუფალი ადგილი აღარ არის, საერთოდ გაუქმდა. შედეგად, იტალიელმა დენიზ კარბონმა გიგანტში საუკეთესოსთვის განკუთვნილი მცირე ბროლის გლობუსი გაინაღდა, რადგანაც უახლოეს მდევარს ასზე მეტი ქულით უსწრებს და თასის პროგრამაშიც ოდენ ერთი გიგანტიღაა დარჩენილი.

| მსოფლიოს თასი. კაცები. კვიტფიული. ნორვეგია. 29 თებერვალი-2 მარტი | |
|---|---|
| **სწრაფდაშვება** | |
| 1. ვერნერ ჰილი (იტალია) | 1 წთ 45,73 წმ |
| 2. ბოდე მილერი (აშშ) | 1.45,83 |
| 3. კლაუს კროლი (ავსტრია) | 1.45,95 |
| 4. მანუელ ოსბორნ-პარადისი (კანადა) | 1.46,03 |
| 5. მარკო ბუშელი (ლიხტენშტაინი) | 1.46,47 |
| **სწრაფდაშვება** | |
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 1 წთ 46,16 წმ |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1.46,56 |
| 3. ვერნე ჰილი (იტალია) | 1.46,91 |
| 4. კლაუს კროლი (ავსტრია) | 1.46,92 |
| 5. მანუელ ოსბორნ-პარადისი (კანადა) | 1.46,97 |
| **სუპერგიგანტი** | |
| 1. გეორგ შტრაიტბერგერი (ავსტრია) | 1 წთ 26,68 წმ |
| 2. ბოდე მილერი (აშშ) | 1.26,88 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1.27,00 |
| 4-5. რობი დიქსონი (კანადა) | 1.27,10 |
| 4-5. ამბროზი ჰოფმანი (ავსტრია) | 1.27,10 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 1363 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1178 |
| 3. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1073 |
| 4. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 688 |
| 5. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 682 |

ძალოსნობა

# ოთხიდან ერთი ივნისში დარჩება
## გრიქუროვი პოლონეთში სამს იახლებს



**ხვალ** საქართველოს ძალოსანთა ეროვნული ნაკრები პოლონეთში მოსამზადებელ შეკრებაზე გაემგზავრება. ნაკრების თავკაცი ვანო გრიქუროვი სამ ძალოსანს იახლებს — რაულ ცირეკიძეს (85კგ), არსენ კასაბიევსა (96კგ) და ალბერტ კუზილოვს (105კგ). შეგახსენებთ, რომ ჩვენებს სამი ოლიმპიური ლიცენზია აქვთ მოპოვებული და ჩინეთში წამსვლელთა ვინაობა ოთხი კანდიდატიდან შეირჩევა. ნახსენები სამი კაცის გარდა საპეკინო შანსი გია მაჭავარიანსაც (105კგ) აქვს, რომელიც, გრიქუროვის გადაწყვეტილებით თბილისში დარჩება და ვარჯიშს პირადი მწვრთნელის ავთანდილ გახოკიძის მეთვალყურეობით გააგრძელებს. მენაკრებეები მომზადებას ერთი თვის მანძილზე გლდანის ოლიმპიური რეზერვების ძალოსანთა დარბაზში გადიოდნენ. ამას წინათ ვანო გრიქუროვმა „სარბიელს" უთხრა, ოლიმპიადამდე ძალოსნები მონაცვლეობით შეკრებებს ხან საქართველოში, ხანაც უცხოეთში გაივლიან. წლეულს ეს პირველი უცხოური შეკრებაა. იმ სამი კანდიდატის ვინაობა კი, ვინც ჩინეთში ოლიმპიადაზე წავა, ივნისში საქართველოს ჩემპიონატის მერე გაირკვევა.

**ლექსო მაისურაძე**

# ბაიიმ გერმანულ ექსპრესს გაუსწრო



**კორეულ** პიონჩანში მსროლელ მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის მეშვიდე ეტაპი შერეული ესტაფეტით და უბიორნდალენო, უსვენდსენო, უჰანავალდო და უბერგერო ნორვეგიის გამარჯვებით დასრულდა.

მანამდე კი ქალთა გამოდევნება იყო, რომელშიც ფრანგმა სანდრინ ბაიიმ, რაც უნდა უცნაური იყოს, თხილამურობაში დაჯაბნა ზესწრაფი გერმანელი, სპრინტის მომგები მაგდალენა ნოინერი, სასროლეთზეც მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა და კარიერაში 23-ედ მოიგო მსოფლიოს თასის ეტაპი.

ამ გამარჯვებით ბაიი გენერალურ კლასიფიკაციასაც თავში მოექცა და ახლა ზემოდან დაჰყურებს ანდრეა ჰენკელის, ნოინერის, კატი ვილჰელმისა და მარტინა გლაგოვის გერმანულ ექსპრესს.

მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი, მერვე ეტაპი კი შუაგულ ციმბირში, ხანტი-მანსიისკში გაიმართება.

**მსოფლიოს თასი. პიონჩანგი. კორეა. 27 თებერვალი — 2 მარტი**

**ქალები**

**გამოდევნება. 10 კმ ოთხი სასროლეთით**

1. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) 31 წთ 29,89 წმ (1 აცდენა)
2. მიქაელა პონცა (იტალია) +54,9 წმ (1)
3. ალბინა ახატოვა (რუსეთი) +1.00,1 (2)
4. მარი ლორ ბრიუნე (საფრანგეთი) +1.10,0 (0)
5. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) +1.21,5 (2)

**საერთო ჩათვლა**

1. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) 638 ქულა
2. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) 627
3. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) 608
4. კატი ვილჰელმი (გერმანია) 572
5. მარტინა გლაგოვი (გერმანია) 532

**შერეული ესტაფეტა (2X6კმ+2X7,5 კმ — 4+2 სასროლეთით)**

1. ნორვეგია (ან კარინ ფლატლანდი, სოლვეი როგსტადი, ჰანს მარტინ გიედრემი, ალექსანდრ ოსი)1 სთ 13 წთ 39,3 წმ (2 საჯარიმო წრე და 7 დამატებითი ვაზნა)
2. იტალია (მიქაელა პონცა, კატია ჰალერი, რენე ლორან ველერმოზი, კრისტიან დე ლორენცი) +4,1 წმ (0 და 10)
3. საფრანგეთი (ჟიული კაპას-კოლინი, პოლინ მაკაბი, სიმონ ფურკადი, ალექსის ბეფი) +4,2 (0 და 10)
4. რუსეთი (ოქსანა ნეუპოკოევა, ანა კუნაევა, ანდრეი პროკუნინი, ანდრეი მაკოვეევი) +14,3 (0 და 10)
5. პოლონეთი (კრისტინა პალკა, მაგდალენა გვიზდუნი, კჟიშტოფ პლივაშჩუკი, ტომაშ ციკორა) +16,8 (1 და 11)



**მსოფლიოს თასი. ლაჰტი. ფინეთი. 1-2 მარტი**

**კაცები**

**სპრინტი. 1,2 კმ თავისუფალი**

1. ანდერს გლოერსენი (ნორვეგია); 2. ედრიუ ნიუელი (აშშ); 3. ოლ ვიგენ ჰატესტადი (ნორვეგია); 4. ბიორნ ლინდი (შვედეთი); 5. დევონ კერშოუ (კანადა)

**15 კმ. ინდივიდუალური. კლასიკური**

1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) 36 წთ 35,0 წმ
2. რენე ზომერფელდი (გერმანია) 36.55,6
3. სერგეი ჩერეპანოვი (ყაზახეთი) 37.01,5
4. სამი იაუჰოიარვი (ფინეთი) 37.07,1
5. ოდ ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) 37.08,1

**საერთო ჩათვლა**

1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) 1196 ქულა
2. რენე ზომერფელდი (გერმანია) 768
3. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) 655
4. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) 543
5. ტორდ ასლე გიერდალენი (ნორვეგია) 540

**ქალები**

**სპრინტი. 1,2 კმ თავისუფალი**

1. ჩანდრა კროუფორდი (კანად); 2. ნატალია მატვეევა (რუსეთი); 3. ევი ზახენბახერი (გერმანია); 4. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია); 5. კაიკინ რანდალი (აშშ)

**10 კმ. ინდივიდუალური. კლასიკური**

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) 28 წთ 06,3 წმ
2. ვალენტინა შევჩენკო (უკრაინა) 28.11,0
3. კატრინ ცელერი (გერმანია) 28.11,9
4. აინა კაისა საარინენი (ფინეთი) 28.12,3
5. მარიანა ლონგა (იტალია) 28.15,1

**საერთო ჩათვლა**

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) 1201 ქულა
2. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია) 1062
3. შარლოტა კალა (შვედეთი) 939
4. ჟუსტინა კოვალჩუკი (პოლონეთი) 896
5. არიანა ფოლისი (იტალია) 823



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვასკესმარკესიანი

**ამას წინათ** ვლადიმირ კლიჩკოსა და სულტან იბრაგიმოვის ყოვლად უსუსური ბრძოლით შელახული რეპუტაცია კრივს ამ უქმეებზე ორმა მექსიკელმა — ისრაელ ვასკესმა და რაფაელ მარკესმა აღუდგინეს, რომლებმაც კალიფორნიულ კარსონში ისეთი ჯახი გამართეს, რომ კარგა ხანს არავის დაავიწყდება. ორივე მოკრივემ სასწაული თავდადება, სიმამაცე და გამძლეობა გამოავლინა, რის გამოც დარბაზში შეკრებილი 8 ათასი მაყურებელი ფეხზე მდგომი ადევნებდა თვალს ბოლო რამდენიმე რაუნდს.

გარკვეულწილად ეს წარსულში მოგზაურობა იყო, იმ დროში, როცა მოკრივეები მართლაც საჩხუბრად გადიოდნენ რინგზე და არც დარტყმების ეშინოდათ. თანამედროვე კრივის ფონზე, როცა ტაქტიკური ბრძოლა სულ უფრო წინა პლანზე გადმოდის, სანახაობა იკარგება და მოკრივეებისთვის მთავარ პრიორიტეტად თავის დაცვა რჩება და არა შეტევა, მექსიკელთა ამ ჯახის ხილვა სასიამოვნო სიურპრიზად იქცა.

ეს ვასკესისა და მარკესის რიგით უკვე მესამე ბრძოლა იყო — მათ შარშან ორჯერ იჩხუბეს და ორივე ულამაზესი საცქერი გამოდგა. შარშანდელ ბრძოლებში სპეციალისტები თავს იმაზე იმტვრევდნენ, მექსიკელთა იმ ორი ჯახიდან რომელი გამოერჩიათ, მაგრამ ვასკეს-მარკესის მესამე დაპირისპირება მაინც ყველაზე შთამბეჭდავი გამოდგა. მთელი ბრძოლის განმავლობაში მოკრივეებმა არც საკუთარი თავი დაინდეს და არც მეტოქე. პირველი რაუნდიდან მეთორმეტეს ჩათვლით, ისინი უმოწყალოდ უბრაგუნებდნენ ერთმანეთს და ამიტომაც ბრძოლის დამთავრებისას ორივე გვარიანად ნაცემი იყო — ვასკესს მეშვიდე რაუნდში მუხლი დაეჭიმა და ამის შემდეგ კოჭლობით დადიოდა, ბოლოსკენ კი სახე ისე ჰქონდა გაფუებული, თითქოს ჩაქუჩით სცემესო. უკეთეს დღეში არც მარკესი იყო, რომელიც მარცხენა თვალიდან თითქმის ვეღარაფერს ხედავდა, სახე დასიებოდა და კორპუსი ისე ჰქონდა დამუშავებული, რომ რინგზე გადაადგილებას ძლივს ახერხებდა.

რაღა გასაკვირია, რომ გამარჯვებულის გამოვლენა საძნელო საქმედ იქცა — საბოლოოდ ორმა მსაჯმა ვასკესის მხარე დაიჭირა და მანაც ამით შეძლო პირველ მსუბუქ წონაში WBC-ს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება.

როგორც წაგებულებს ხშირად სჩვევიათ ხოლმე, მარკესი და მისი შტაბი აპროტესტებდა ბრძოლის შედეგს. დამარცხებული ბევრ რამეს მთავარ მსაჯ პეტ რასელს აბრალებდა, რომელმაც ჯერ მეათე რაუნდში წელს ქვემოთ დარტყმისთვის მარკესს ქულა აართვა, ბრძოლის დამთავრებამდე 12 წამით ადრე კი ვასკესს ნოკდაუნი ჩაუთვალა. მარკესი მიიჩნევს, რომ ამ ორმა გადაწყვეტილებამ დანარჩენ მსაჯებზეც იმოქმედა და ამიტომაც ორმა მათგანმა ვასკესის მხარე დაიჭირა. მარკესი ამტკიცებს, რომ მეათე რაუნდში წესები არ დაურღვევია და წელს ქვემოთ კი არა, პირდაპირ მუცელში მოარტყა მეტოქეს. ბოლო რაუნდში კი ნოკდაუნი არ უნდა ჩათვლილიყო, რადგანაც მართალია, მარკესი ბაგირს მიეყრდნო, მაგრამ არ წაქცეულა — კალიფორნიული წესებით კი, თუ მოკრივე არ იქცევა და ფეხზე დგას, თუნდაც ბაგირს ჩამოეკიდოს, მასზე ნოკაუტის დაფიქსირება არ შეიძლება.

„ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ არ წამიგია. ბრძოლა მე მიმყავდა და წინაც ვიყავი, მაგრამ რასელის შეცდომებმა ყველაფერი გადაწყვიტა" — სინანულით განაცხადა ბრძოლის შემდეგ დამარცხებულმა.

ისე, მარკესის სიტყვებში სიმართლის ნატამალი არის, რადგანაც ბრძოლა პირველივე რაუნდიდად მართლაც თანაბარი იყო. მოკრივეებმა თავიდანვე ძალიან აქტიურად დაიწყეს და ყველას დაანახვეს, რომ დარტყმების ასატანად მზად იყვნენ — ორივე მხოლოდ შეტევაში ეძებდა გამარჯვებას. ამიტომაც იყო, რომ მეოთხე რაუნდამდე ბაგირს არც ერთი არ შეხებია — აქ კი მარკესმა მარცხენა ჰუკით მეტოქე დაანოკდაუნა. თუმც ვასკესი მალე წამოდგა და საშინელი ხორცსაკეპი ახალი ძალით გაჩაღდა. ჯახი მართლაც რომ თვალსასეირო იყო, რადგანაც მთელი ბრძოლის განმავლობაში მეტოქეები, დიდი-დიდი, ხუთჯერ შევიდნენ კლინჩში — დანარჩენი დროის განმავლობში რინგზე ნაღდი კრივი იყო გაჩაღებული.

ჰოდა, ყოველივე ამის ფონზე მართლაც შეიძლება იმის მტკიცება, რომ ბრძოლის ბედი რეფერიმ გადაწყვიტა. სხვა საქმეა ის, თუ რამდენად სამართლიანი იყო რასელი — მარკესის ნოკდაუნზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მსაჯს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება შეეძლო. ქულის ართმევისას კი რასელი ალბათ მაინც ცამდე მართალი გახლდათ, რადგანაც მანამდე რამდენჯერმე სიტყვიერად გააფრთხილა მარკესი, წელსქვემოთ დარტყმებს მოეშვიო და მეათე რაუნდში უკვე აღარ აპატია.

ასეა თუ ისე, ახლა ყოველივე ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ბრძოლის სილამაზემ ალბათ მაინც ყველაფერი გადაწონა. ამიტომაც დასავლურ პრესაში უჩვეულოდ წაუყრუეს მსაჯობის თემას და ამის მაგივრად ყველა მოკრივეთა სიმამაცეზე საუბრობს თუ წერს. მარკესს კი მაინდამაინც დასამწუხრებელი არაფერი აქვს, რადგანაც თავისზე ახალგაზრდა მეტოქეს თანაბრად ეომა და გვარიანდაც დაჟეჟა.

„ეს ტრილოგია კრივის ისტორიაში თავის ადგილს უეჭველად დაიკავებს. ამ მოკრივეებმა მართლაც ფანტასტიკური თავდადება გამოავლინეს და მარტო ამ სამი ბრძოლის გამო იმსახურებენ ადგილს კრივის დიდების დარბაზში. აქ იყო ყველაფერი ის, რასაც მაყურებელი კრივისგან მოელის და რისთვისაც იხდის ფულს. დღეს უდიდესი შოუ ვნახეთ" — აღფრთოვანებას არ მალავდა კრივზე მწერალი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელიანი და წონადი ჟურნალისტი ალ ბერნშტაინი.

**კახა ლომაშვილი**

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი



# ლოების მესამე მექსიკური

**მსოფლიოს** ოთხგზის ჩემპიონის, ფრანგი სებასტიენ ლოების გამარჯვებით დასრულდა რალიში წლევანდელი მსოფლიო პირველობის მესამე ეტაპი, „კორონა რალი მექსიკო“, რომელიც ქალაქ ლეონის შემოგარენში, ქვა-ღორღიან გრუნტის გზებზე ჩატარდა.

34 წლის ლოებმა ზედიზედ მესამე მექსიკური, წლევანდელ სეზონში მეორე, ხოლო კარიერაში 38-ე გამარჯვება მოიპოვა და ახლა ის ერთი ქულითღა ჩამორჩება გენერალური კლასიფიკაციის ლიდერს, ფინელ მიკო ჰირვონენს, ვინც მექსიკაში მხოლოდ მეოთხე იყო.

სიმართლე უნდა ითქვას და ლოებს ამ ჯერზე აშკარად გაუმართლა. არა, თავად ფრანგიც, მისი მონაკოელი შტურმანი დანიელ ელენაც და მათი „სიტროენიც“, კვლავაც სუპერსაიმედონი და სტაბილურნი იყვნენ. მარტო ის რად ღირს, რომ 20 სპეცმონაკვეთიდან მათმა ეკიპაჟმა 6 მოიგო, და მაინც...

პირველი დღის შემდეგ წინა, „შვედეთის რალის“ მომგები ფინელი იარი მატი ლატვალა დაწინაურდა. მთლიანობაში, ამ 22 წლის მძღოლმა 4 დოპი მოიგო და ალბათ, ზედიზედ მეორე გამარჯვებასაც მოიპოვებდა, მაგრამ მეორე დღეს მისი „ფორდის“ ძრავამ აურია, ამის გამო ლატვალამ ორ წუთამდე დრო დაკარგა და საბოლოო ჯამში მესამე ადგილს დასჯერდა.

მეორე დღეს პრობლემები ჰქონდა ჰირვონენსაც. მას ორჯერ დაეშვა საბურავი. ამის გამო, ბუნებრივია, ბლომად დრო დაკარგა და პირველობისთვის ბრძოლას ჩამოსცილდა, თუმცა მეოთხე ადგილზე გასულმა ხუთი ქულა მაინც მიითვალა და საერთო ჩათვლაში კვლავაც ყველას ზემოდან დაჰყურებს.

მეორე ადგილი „სუბარუს“ ავსტრალიელმა მძღოლმა კრის ატკინსონმა დაიკავა და ეს მისთვის კარიერის საუკეთესო შედეგია.

არ გაუმართლათ მსოფლიოს ნორვეგიელ ექსჩემპიონ პეტერ სოლბერგსა („სუბარუ“) და ლოების ესპანელ თანაგუნდელ დანი სორდოს. მათ, შესაბამისად, ორ და სამ დოპზე იმარჯვეს, მაგრამ ავარიები შეემთხვათ და პოდიუმს ვინ ჩივის, საქულე ზონის გარეთ დარჩნენ.

ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი, „არგენტინის რალი“, მარტის ბოლოს ჩატარდება, შემდეგ კი რალის ქარავანი ევროპაში დაბრუნდება.

**ბახა ლომაძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

WRC World Rally Championship

III ეტაპი. მე-17 „კორონა რალი მექსიკა“. 29 თებერვალი-2 მარტი

### რბოლის შედეგები

1. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“) 3სთ. 33 წთ. 29,9 წმ
2. კრის ატკინსონი (ავსტრალია, „სუბარუ“) ---------- +1წთ.06,1 წმ
3. იარი მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი“)------------------ +1,39,7
4. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი“) ----------------------- +338,7
5. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდი“) -----------------+4.57,9
6. მეტიუ უილსონი (ბრიტანეთი, „ფორდი“) ------------------+6.28,9
7. ფედერიკო ვილაგრა (არგენტინა, „ფორდი“) ------------ +19.03,0
8. რიკარდო ტრივინო (მექსიკა, „პეჟო“) --------------------- +21.17,2

### საერთო ჩათვლა

1. ჰირვონენი 21 ქულა; 2. ლოები 20; 3. ლატვალა 16; 4. ატკინსონი 14; 5-6. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ“) და ჯუზეპე გალი (იტალია, „სუბარუ“) 9-9; 7. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, „ფორდი“) 5; 8-9. ჰ. სოლბერგი და ანდრეას მიკელსენი (ნორვეგია, „ფორდი“) 4-4; 10-11. დანი სორდო (ესპანეთი, „სიტროენი“) და უილსონი 3-3

### კონსტრუქტორთა თასი

1. ფორდი 37 ქულა; 2-3 სიტროენი და სუბარუ 25-25; 4. ფორდსტობარტი 19; 5 სუძუკი 5.

### მექსიკის რალის გამარჯვებულები 1997 წლიდან

| | |
|---|---|
| 1997 | როჯერ ჰალი (აშშ, „მიცუბიში“) |
| 1998 | კარლოს ისკუერდო (მექსიკა, „ნისანი“) |
| 1999 | გაბრიელ მარინი (მექსიკა, „მიცუბიში“) |
| 2000 | დუგლას გორი (იამაიკა, „მიცუბიში“) |
| 2001 | რამონ ფერეიროსი (პერუ, „ტოიოტა“) |
| 2002 | ჰარი როვანპერა (ფინეთი, „პეჟო“) |
| 2003 | მარკოს ლიგატო (არგენტინა, „მიცუბიში“) |
| 2004 | მარკო მარტინი (ესტონეთი, „ფორდი“) |
| 2005 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ“) |
| 2007 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი) |
| 2006 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“) |
| 2007 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი) |



# მსხვილიძეს ტრავმა ესპანეთის გაუცდენს



გურამ ღოლენჯაშვილის ფოტო

**საქართველოს** ხელბურთელთა ჩემპიონატის განახლებამდე შინაურ პირველობას ახალგაზრდული გუნდები დაიწყებენ. მე-2 წრის მე-4 ტურს გლდანის ხელბურთის დარბაზი უმასპინძლებს. საწყისი წრის მერე ცხრილის თავში „სამტრედიაა“. დიდების ოთხგუნდა ჩემპიონატი კი მას მერე განახლდება, რაც ასაკობრივი ნაკრებები ევროშესარჩევს მოილევენ. კერძოდ, მარტის მიწურულს ესპანეთში 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ქართველებს მეტოქეობას მასპინძლები, იტალია და სლოვაკეთი გაუწევენ. ნაკრები ამჟამად მზადების პროცესშია. ბიჭებს საესპანეთოდ მეორე მწვრთნელი, გიორგი ქობელაშვილი ამზადებს. მთავარ მწვრთნელ გაიო თურქიას კი, რომელიც ამჟამად საბერძნეთშია, უახლოეს პერიოდში ელოდებიან. გადაწყვეტილი იყო, რომ ახალგაზრდებს ისლანდიური „სტიარნანის“ ხელბურთელი რატი მსხვილიძეც უნდა დახმარებოდა, მაგრამ რატიმ გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე უწყინარ სიტუაციაში ტრავმა მიიღო. ახალგაზრდების გეგმებში ასევეა ერთობლივი შეკრება სომხეთის თანატოლ ნაკრებთან ჯერ თბილისში, მერე — ერევანში.

**ლექსო მაისურაძე**

## ჩემპიონთა ლიგა. კაცები

Champions League

მეორე ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური

### I ჯგუფი

ლავრი (საფრანგეთი) — ადემერი (ესპანეთი) 36:33

ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) — კილი (გერმანია) 26:32

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კილი | 4 | 3 | 0 | 1 | 123:104 | 6 |
| ადემერი | 4 | 2 | 0 | 2 | 119:112 | 4 |
| ჩეხ. მედვედი | 4 | 2 | 0 | 2 | 115:117 | 4 |
| ლავრი | 4 | 1 | 0 | 3 | 112:136 | 2 |

### II ჯგუფი

გორენიე (სლოვენია) — გუმერსბახი (გერმანია) 21:29

მონპელიე (საფრანგეთი) — სიუდადი (ესპანეთი) 28:26

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიუდადი | 4 | 3 | 0 | 1 | 112:101 | 6 |
| გუმერსბახი | 4 | 2 | 0 | 2 | 126:120 | 4 |
| მონპელიე | 4 | 2 | 0 | 2 | 121:123 | 4 |
| გორენიე | 4 | 1 | 0 | 3 | 106:121 | 2 |

### III ჯგუფი

ოსი გერანჟე (ხორვატია) — ჰამბურგი (გერმანია) 27:26

ფლენცბურგი (გერმანია) — პორტლენდი (ესპანეთი) 30:30

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოსი გერანჟე | 4 | 3 | 0 | 1 | 114:106 | 6 |
| ჰამბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 123:118 | 5 |
| პორტლენდი | 4 | 1 | 1 | 2 | 112:113 | 3 |
| ფლენცბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 110:122 | 2 |

### IV ჯგუფი

სვენდბორგი (დანია) — პიკი (უნგრეთი) 28:25

პივოვარნა (სლოვენია) — ბარსელონა (ესპანეთი) 27:32

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 137:118 | 6 |
| სვენდბორგი | 4 | 3 | 0 | 1 | 130:125 | 6 |
| პივოვარნა | 4 | 1 | 0 | 3 | 123:135 | 2 |
| პიკი | 4 | 1 | 6 | 3 | 117:129 | 2 |



„კილის“ ნიკოლა კარაბატიჩმა რუსი „დათვები“ დაარბია

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge